



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტყიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
გიორგი ხითარიშვილი

02. ნოემბერი, 2021 წელი

N 42/36

გვ. N 1

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მოსაზრება	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	20
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	25
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები	28
	კონსოლიდირებული ერთეულები	70
	საკონტაქტო ინფორმაცია	71

ტერმინები და შემოკლებები

სამინისტრო – საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სააღრიცხვო ინსტრუქცია – საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები.

ბილინგის სისტემა – სერვისების სააგენტოს და საჯარო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სისტემა, სადაც ცენტრალიზებულად მიმდინარეობს კლიენტების მიერ მომსახურების საფასურის გადახდა და აღრიცხვა.

აღსრულების ეროვნული ბიურო – სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო – სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

ეროვნული არქივი – სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი.

იუსტიციის სასწავლო ცენტრი – სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

იუსტიციის სახლი – სსიპ – იუსტიციის სახლი.

მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი – სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი.

საჯარო რეესტრის სააგენტო – სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

სერვისების სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

საკანონმდებლო მაცნე – სსიპ – საკანონმდებლო მაცნე.

ციფრული მმართველობის სააგენტო – სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას, ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებების დაცვას და კანონიერების განმტკიცებას. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ნორმატიული აქტების პროექტებისა და ხელშეკრულებების სამართლებრივი ექსპერტიზა, არბიტრაჟებში ან უცხო ქვეყნების სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობა, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება, სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთა აღრიცხვის და მათზე დოკუმენტების გაცემის მოწესრიგებული სისტემის შექმნა და სხვ.

2020 წელს სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო 10 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) და ერთი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელთა დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2020 წლის დამტკიცებული და დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	თავდაპირველად დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	224,000,000	247,801,411	11% ¹	235,429,506
მომუშავეთა რიცხოვნობა	5,079	-	-	-
ხარჯები	191,950,000	214,178,111	12%	204,487,459
მათ შორის, შრომის ანაზღაურება	83,517,000	71,110,001	-15% ²	71,051,166
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,050,000	33,623,300	5%	30,942,047

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს აპარატი	48,226,441	-	48,226,441
სპეციალური პენიტენციური სამსახური	147,712,029	-	147,712,029
სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	7,289,494	41,605,325	48,894,819
სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	5,110,300	37,658,329	42,768,629
სსიპ - იუსტიციის სახლი	7,613,305	21,748,663	29,361,968
სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო	-	29,250,721	29,250,721
სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნული სააგენტო	7,504,681	1,377,176	8,881,856
სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი	5,822,343	2,145,518	7,967,860
სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო	2,342,172	5,272,546	7,614,718
სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი	1,371,500	1,309,214	2,680,714
სსიპ - საკანონმდებლო მაცნე	-	2,212,492	2,212,492
მიწის ბაზრის განვითარება (WB პროექტი)	1,970,275	-	1,970,275
სსიპ - მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	466,968	-	466,968
ჯამი:	235,429,508	142,579,984	378,009,490

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების (ერთად – „ჯგუფის“)³ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს,⁴ მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, აბზაცში – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის⁵ შესაბამისად.

¹ ზრდა ძირითადად განპირობებულია სამინისტროს მიერ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმოებული დავისთვის იურიდიული მომსახურების შესყიდვით.

² თავისუფალი სამტატო ერთეულების ხარჯზე წლის განმავლობაში თანხები გადანაწილდებოდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის სხვა მუხლებზე.

³ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N21 შენიშვნები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 ქონების ინვენტარიზაცია

საჯარო რეესტრის სააგენტოში არ არის დასრულებული 2020 წელს დაწყებული ქონების ინვენტარიზაცია. აღსანიშნავია, რომ სააღრიცხვო პროგრამაში აქტივების ნაშთები ასახულია მხოლოდ ნაერთი სახით. აქტივები არ არის დაყოფილი ქვეერთეულების და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიხედვით, რის გამოც ვერ ხორციელდება ფაქტობრივი და საბუღალტრო ნაშთების შესაბამისობის კონტროლი.

სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში 2020 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია 2,713,142 ლარის მარაგების და 381,992 ლარის⁷ ძირითადი საშუალებების დანაკლისი, საიდანაც:

- **719,986 ლარის მარაგების** დანაკლისი მოიცავს წინა წლებში სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში⁸ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული მედიკამენტებს, რომლებიც წარმოადგენდა მიმწოდებელი ორგანიზაციების⁹ კონტროლირებად აქტივებს. აღნიშნული მედიკამენტები პენიტენციური სამსახურის მიერ წინა პერიოდებში შეცდომით იქნა აღრიცხული მარაგების სახით, ვინაიდან ბრალდებულები/მსჯავრდებულები ჯანდაცვის სამინისტროს¹⁰ ბენეფიციარები არიან, მედიკამენტები ვერ აკმაყოფილებდა აქტივად აღიარების კრიტერიუმს. შეცდომის გასწორება, ნაცვლად წინა პერიოდების რეტროსპექტულად კორექტირებისა,¹¹ განხორციელდა 2020 წელს, მარაგების ხარჯებში ჩამოწერის სახით;
- **850,924 ლარის მარაგების** დანაკლისი ჩამოწერილია სხვადასხვა ხარჯის ანგარიშზე და შედგება ორი ნაწილისაგან: 315,570 ლარი მოიცავს 2016 წელს გამოვლენილ დანაკლისებს, რომელზეც ამავე წელს წარმართა და დასრულებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოება,¹² შესაბამისად, 2016 წელს უნდა მომხდარიყო აღნიშნული მარაგების ჩამოწერა. დანაკლისის დარჩენილი ნაწილის ძირითადი მიზეზია წლების განმავლობაში მარაგების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები,¹³ რის გამოც არ ხდებოდა ფაქტობრივად გახარჯული მარაგების ასახვა სამსახურის ბუღალტრულ ჩანაწერებში;

⁶ 2020 წლის 25 დეკემბრის ინვენტარიზაციის აქტი (გრიფით „საიდუმლო“), 2020 წლის 30 ნოემბრის ინვენტარიზაციის აქტი.

⁷ ნარჩენი ღირებულება.

⁸ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი პროგრამები: C ჰეპატიტის მართვა, ტუბერკულოზის მართვა, აივ ინფექციის/შიდსის მართვა.

⁹ სოციალური მომსახურების სააგენტო, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი.

¹⁰ დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

¹¹ სსპას 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.

¹² სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე N073270516001, 2016 წლის ივნისში სასამართლომ ოთხი პირის მიმართ დაადგინა სისხლის სამართლის დანაშაული და დამნაშავეებს დაეკისრა სამსახურის მიმართ 120,000 ლარის ანაზღაურება.

¹³ მაგალითად, მარაგების გაცემისას არ ადგენდნენ ხარჯვის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

- **491,184 ლარის მარაგების** დანაკლისთან დაკავშირებული დოკუმენტაცია¹⁴ იუსტიციის სამინისტრომ, შემდგომი რეაგირების მიზნით, გაგზავნა¹⁵ საქართველოს პროკურატურაში;
- **651,048 ლარის მარაგების და 349,591 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებების** დანაკლისთან დაკავშირებული საქმე, შემდგომი მოკვლევისთვის, გადაეცა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.¹⁶ გენერალურმა ინსპექციამ საკითხის განხილვის შემდგომ, დანაკლისის სახით გამოვლენილი ფასეულობების გამოკვლევისა და სრულყოფის მიზნით, საქმე დაუბრუნა¹⁷ პენიტენციურ სამსახურს. გენერალური ინსპექციის მითითების შესასრულებლად, სამსახურში მომზადდა შესაბამისი ბრძანება.¹⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში „სხვა ხარჯების“ მუხლი 719,986 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ამასთანავე, მიმდინარე ეტაპზე დაუდგენელია 1,491,823 ლარის აქტივების დანაკლისის რეალური მიზეზები; ასევე ვერ მივიღეთ რწმუნება საჯარო რეესტრის სააგენტოს 9,279,346 ლარის არაფინანსური აქტივების¹⁹ არსებობასა და სიზუსტეზე.

1.2 ფასეულობების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები იუსტიციის სახლში

იუსტიციის სახლში ფასეულობების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებით გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანება:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მატერიალური მარაგების და საწყობში არსებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ნაშთები, შესაბამისად, 630,288 ლარის და 549,472 ლარის ოდენობით, მოიცავენ უარყოფით ნაშთებს, კერძოდ, მარაგების უარყოფითი ნაშთი შეადგენს 966,555 ლარს, ხოლო ძირითადი საშუალებებისა – 852,144 ლარს. უარყოფითი ნაშთების გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია რიგ შემთხვევებში სააღრიცხვო პროგრამაში აქტივების ჩამოწერა ისეთი ანგარიშიდან, რომლებსაც საწყისი ნაშთი ან მიღება არ აქვთ, რაც იწვევს ამ ანგარიშზე უარყოფით ნაშთის წარმოშობას; ასევე რიგ შემთხვევაში აქტივების ჩამოწერის ოპერაციებს არ აქვს მოკორესპონდენტო ანგარიში, ხოლო რიგი ოპერაციები ასახულია შესაბამისი დოკუმენტაციის მითითების და შინაარსის გარეშე;
- 2020 წლის დეკემბერში სააღრიცხვო პროგრამაში განხორციელებულია ოფისის ხარჯების კორექტირების (შემცირების) ოპერაცია – 2,256,095 ლარის ოდენობით, რაც მიღებული განმარტებით, წარმოადგენს პროგრამული ხარვეზის გამო არასწორად ჩამოწერილი მარაგების აღდგენას. აღსანიშნავია, რომ ბუღალტრულ ჩანაწერებში არასწორად ჩამოწერილი მარაგების აღდგენა ნაცვლად ინდივიდუალურად, დასახელებების მიხედვით აღდგენისა, განხორციელდა სინთეზურად, ერთი ტრანზაქციით. შესაბამისად, გაურკვეველია, კონკრეტულად

¹⁴ სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფროსის წერილი N307831/01, 30.12.2020 - (მედიკამენტები.)

¹⁵ წერილი N01/13-8838, 05.02.2021.

¹⁶ 2021 წლის 7 აპრილი და 2021 წლის 21 აპრილის წერილები გრიფით „საიდუმლო“.

¹⁷ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 11 აგვისტოს მოხსენებითი ბარათი გრიფით „საიდუმლო“.

¹⁸ სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორის 2021 წლის 16 აგვისტოს ბრძანება N26-ს.

¹⁹ სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი - 5,808,920 ლარი; მატერიალური მარაგები - 3,470,426 ლარი.

რომელი დასახელების და რაოდენობის მარაგების კორექტირება განხორციელდა;

- 2020 წლის დეკემბერში სააღრიცხვო პროგრამაში ასევე ასახულია 1,974,585 ლარის ძირითადი საშუალებების ჩამოწერის ოპერაცია „სხვადასხვა ხარჯების“ ანგარიშზე. ოპერაცია განხორციელებულია სინთეზურად,²⁰ შესაბამისად გაურკვეველია, კონკრეტულად რა დასახელების, რაოდენობის და თანხის ძირითადი აქტივები ჩამოიწერა. ოპერაცია წარმოადგენს 500 ლარზე ნაკლებ, ექსპლუატაციაში მყოფი მოძრავი ძირითადი საშუალებების ჩამოწერას. ასეთ შემთხვევაში, თანხა ნაცვლად „სხვადასხვა ხარჯებისა“, უნდა ასახულიყო „საქონელი და მომსახურების ხარჯის“ ანგარიშზე;
- იუსტიციის სახლის ფილიალებში არსებულ მოძრავ ძირითად საშუალებებზე არ არიან განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირები, რის გამოც ფაქტობრივად გაცემული ფასეულობები კვლავ ირიცხება ცენტრალურ საწყობზე,²¹ ასევე მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები, რომლებიც შესყიდვისთანავე მონტაჟდება ფილიალებში, ასახულია საწყობში. 2020 წლის ბოლოს, სულ ასეთი ძირითადი აქტივების ნაშთი შეადგენდა 440,207 ლარს;
- 2020 წელს იუსტიციის სახლს გადაეცა 80-მდე საზოგადოებრივი ცენტრი სერვისების სააგენტოსგან, თუმცა ფასეულობების აღრიცხვა პროგრამულად ხდება ერთიანად და არ წარმოებს ანალიზური აღრიცხვა თითოეული ქვეერთეულის მიხედვით.

იუსტიციის სახლში არსებული ფასეულობების აღრიცხვისა და კონტროლის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება იუსტიციის სახლის მატერიალური მარაგების (549,473 ლარი), მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების (10,724,829 ლარი) ნაშთების და მათთან დაკავშირებული ოპერაციების სიზუსტესა და სისრულეზე.

1.3 ძირითადი აქტივები

1.3.1 წინა საანგარიშო

პერიოდების დაურიცხავი

ცვეთა/არასწორი კლასიფიკაცია

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება თბილისის იუსტიციის სახლის მშენებლობაზე 2014 წლამდე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ჯამურად – 82,734,605 ლარის ოდენობით.

2021 წელს განხორციელდა აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გადაცემა²² იუსტიციის სახლისთვის. აღსანიშნავია, რომ შენობა კვლავ²³ არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ის ფაქტობრივად 2012 წლიდან ფუნქციონირებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივები არასწორად იყო კლასიფიცირებული, როგორც სხვა არაფინანსური აქტივები და 2020 წლის

²⁰ ანალიზური აღრიცხვის გარეშე, ერთი ტრანზაქციით.

²¹ მაგალითად, 27 ივლისის ფაქტობრივი აღწერისას, 50 ერთეული კომპიუტერი, რომელიც ფაქტობრივად იყო გაცემული, კვლავ ირიცხებოდა ცენტრალურ საწყობზე.

²² სერვისების სააგენტო: ბრძანება N193/ს, 14.05.2021; მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი - 21.05.2021; საჯარო რეესტრის სააგენტო: ბრძანება N39/ს, 14.01.2021, მიღება-ჩაბარების აქტის თარიღი - 14.01.2021.

²³ შენობის ექსპლუატაციაში მიღების საკითხზე ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ სხვადასხვა წელს იუსტიციის სამინისტროს ფინანსური აუდიტების ფარგლებში (ფინანსური აუდიტის ანგარიშები: N35/36, 10.11.2020; N46/36, 22.08.2019).

ჩათვლით მასზე ცვეთა არ იყო დარიცხული.²⁴ 2021 წელს იუსტიციის სახლის მიერ განხორციელდა აქტივის სწორი კლასიფიკაცია.

მიღებული განმარტებით, ექსპლუატაციაში მიღების პრობლემა გამოწვეულია მშენებლობის შეთანხმებულ პროექტთან შეუსაბამობით და მის აღმოსაფხვრელად ხორციელდება ინტენსიური სამუშაოები.

ცხრილი N3. აქტივების საბალანსო ღირებულება და მათზე დასარიცხი ცვეთა/ამორტიზაცია (ლარი)

საბალანსო ერთეული	მიღების წელი	საბალანსო ღირ. 01.01.2020	2020 წლამდე დასარიცხი ცვეთა	2020 წელს დასარიცხი ცვეთა	პოტენციური ღირებ. (31.12.2020) ²⁵
საჯარო რეესტრის სააგენ.	2014	40,090,809	(2,405,448)	(400,908)	37,284,453
სერვისების სააგენტო	2013	42,643,796	(2,985,066)	(426,438)	39,232,292
ჯამი:		82,734,605	(5,390,514)	(827,346)	76,516,745

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ მუხლი კლასიფიცირებულია არასწორად.²⁶ საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია, შესაბამისად, 5,390,514 და 6,217,860 ლარით, ხოლო საანგარიშო პერიოდის ცვეთის ხარჯი შემცირებულია 827,346 ლარით.

1.3.2 გრძელვადიანი აქტივების არასწორი კლასიფიკაცია

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, რიგ შემთხვევებში გრძელვადიანი აქტივები კლასიფიცირებულია არასწორად, კერძოდ:

- **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში მშენებარე პენიტენციურ დაწესებულებაზე გაწეული სამუშაოების ღირებულება – 3,145,418 ლარის ოდენობით. შენობა არ არის შესული ექსპლუატაციაში. შესაბამისად, თანხა ნაცვლად ძირითადი აქტივისა, კლასიფიცირებული უნდა იყოს, როგორც სხვა არაფინანსური აქტივი;²⁷
- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და ციფრული მმართველობის სააგენტოს** ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა არაფინანსური აქტივების, დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე 2020 წლის ბოლოს ერიცხებათ, შესაბამისად, 1,547,200 ლარის²⁸ და 1,368,198 ლარის²⁹ ფაქტობრივ ექსპლუატაციაში არსებული შენობები, რომლებიც ნაცვლად ძირითადი აქტივებისა, არასწორად კლასიფიცირებულია სხვა არაფინანსური აქტივების ანგარიშზე;

²⁴ სსპასს 17 - ძირითადი აქტივები, მუხლი 71.

²⁵ პოტენციური ნარჩენი საბალანსო ღირებულება.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 18, პუნქტი 16.

²⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 18, პუნქტი 16.

²⁸ გრიფით „საიდუმლო“ ხელშეკრულებით შესყიდული სამუშაო N14 დაწესებულებაში (გეგუთი).

²⁹ ორთაჭალის სათავო ოფისი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2020 წლის 24 აგვისტოს N8-07/01202311410-17 ბრძანება „ექსპლუატაციაში მიღების შესახებ“.

შესაბამისად, ძირითადი აქტივების მუხლი ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია 230,020 ლარით, ამავე თანხით შემცირებულია სხვა არაფინანსური აქტივების მუხლი.

1.3.3 ფაქტობრივ სარგებლობაში არარსებული უძრავი ქონება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს სისტემის სხვადასხვა ერთეულების ბალანსზე აღრიცხულია შენობა-ნაგებობები, მიწა, დაუმთავრებელი მშენებლობები, რომლებიც არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში. ინფორმაცია აღნიშნული აქტივების ღირებულების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში N4:

ცხრილი N4. ბალანსზე რიცხული და ფაქტობრივ სარგებლობაში არმყოფი გრძელვადიანი აქტივების ღირებულებები (ლარი)

საბალანსო ერთეული	კატეგორია	ღირ-ბა (01.01.2020)	ღირ-ბა (31.12.2020)
სპეციალური პენიტ. სამსახური	შენობები, მიწა	8,972,217	8,804,734
სპეციალური პენიტ. სამსახური	დაუმთ. მშენებ.	15,800	15,800
აღსრულების ეროვნული ბიურო	შენობები	407,411	241,423
აღსრულების ეროვნული ბიურო	დაუმთ. მშენებ.	26,694	26,694
საჯარო რეესტრის სააგენტო	შენობები, მიწა	106,620	106,451
სულ:		9,528,742	9,195,102

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი ისეთი აქტივების შესახებ, რომლებიც ასახულია სამინისტროს სისტემის სხვადასხვა ერთეულის ფინანსურ ანგარიშგებებში, თუმცა არ იმყოფება მათ ფაქტობრივ სარგებლობაში:

- **სპეციალური პენიტენციური სამსახური** – ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N83³⁰-ში მდებარე შენობებზე,³⁰ ასევე გულუას ქუჩა N10-ში მდებარე შენობაზე³¹ შეწყვეტილია სარგებლობის უფლება და აღნიშნული აქტივები იმყოფება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებული უწყებების³² იურიდიულ და ფაქტობრივ სარგებლობაში. მიუხედავად ამისა, შენობები, ჯამური ნარჩენი ღირებულებით – **7,570,384** ლარი და **544,720** ლარი, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კვლავ სამსახურის ბალანსზეა აღრიცხული;
- **სპეციალური პენიტენციური სამსახური** – ქ. თბილისში, ავჭალის ქუჩა N17-ში მდებარე, ყოფილი N10 პენიტენციური დაწესებულების **396,328** ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების შენობა-ნაგებობაზე 2016 წელს შეწყვეტილია სარგებლობის უფლება,³³ ხოლო ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა N75-ში მდებარე, **260,800** ლარის საბალანსო ღირებულების მიწის ნაკვეთის ფაქტობრივ მესაკუთრე, სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, კერძო ორგანიზაციაა,³⁴ თუმცა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორივე აქტივი ირიცხება სამსახურის ბალანსზე;
- **აღსრულების ეროვნული ბიუროს** ბალანსზე ირიცხება სოფ. ანაკლიასა და ქ.ახალციხეში არსებული საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობებზე

³⁰ ყოფილი ადმინისტრაციულ შენობა და ყოფილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შენობა.

³¹ 2018 წელს გაუქმებული N7 პენიტენციური დაწესებულების შენობა.

³² საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - 112.

³³ წერილი N7/44691, 29.08.2016.

³⁴ შპს „ორთაჭალა“, საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.063.

2014 წლამდე გაწეული დანახარჯების ღირებულება **254,632** ლარის ოდენობით, რომლებზეც ბიუროს არ აქვს სარგებლობის უფლება. ბიუროში აღნიშნული აქტივების ფაქტობრივი მოსარგებლის შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება. ასევე, 2019 წელს ჩატარებული უძრავი ქონების საინვენტარიზაციო დოკუმენტაციაში აღნიშნული აქტივების საკითხი არ არის განხილული.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი აქტივების“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია, შესაბამისად, 9,528,742 და 9,195,102 ლარით. მათ შორის, შენობა-ნაგებობების ნაწილი, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე, ექვემდებარება ფაქტობრივ მოსარგებლეებზე გადაცემას და ბალანსიდან ჩამოწერას.

1.3.4 ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწა და შენობა-ნაგებობები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამინისტროს სხვადასხვა საბალანსო ერთეულში იდენტიფიცირებულია ფაქტობრივ სარგებლობაში არსებული ისეთი მიწები, რომლებიც არ არის შეფასებული და ძირითადი აქტივების ანგარიშზე ასახული:

ცხრილი N5. საბალანსო ერთეულების სარგებლობაში არსებული მიწის ფართობები ღირებულების გარეშე (კვ.მ)

საბალანსო ერთეული	ობიექტი	რაოდენობა
სპეციალური პენიტ. სამსახური	დაწესებულებები, სხვადასხვა	2,250,404
საჯარო რეესტრის სააგენტო	არქივის შენობა, სათაო ოფისი	14,754
იუსტიციის სახლი	მცხეთა (მშენებარე)	5,500
სერვისების სააგენტო	ბათუმი, თბილისი	146
სულ:		2,270,804

2020 წელს **სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა** განახორციელა მის სარგებლობაში არსებული ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული მიწების შეფასება და აქტივების ღირებულებად განისაზღვრა 25,679,373 ლარი.³⁵ თუმცა ოპერაცია ბუღალტრულად, ნაცვლად 2020 წლისა, აისახა 2021 წელს. შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არაწარმოებული აქტივების საბოლოო ნაშთი 25,679,373 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

გარდა მიწებისა, **სპეციალური პენიტენციური სამსახურის** ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ღირებულებით ასახული 2019 წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლენილია 4 (ოთხი) ერთეული არასაცხოვრებელი შენობა და 86 ერთეული ნაგებობა.³⁶ აღნიშნული ნაგებობების შეფასება სამსახურმა განახორციელა 2021 წელს.³⁷

შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები შემცირებულია 25,679,373 ლარით. ასევე, ღირებულების გარეშე ასახული მიწებისა და შენობა-ნაგებობების ოდენობიდან გამომდინარე, გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლოა იყოს არსებითი, თუმცა ვერ

³⁵ საიდუმლო დოკუმენტაციის საფუძველზე.

³⁶ ინვენტარიზაციის შედეგების შემაჯამებელი ოქმი გრიფით „საიდუმლო“.

³⁷ წერილი N13/ს, 21.06.2021.

ვსაზღვრავთ კორექტირებისთვის საჭირო ზუსტ თანხას. შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება „მიწებისა და შენობა-ნაგებობების“ მუხლის სისრულესა და სიზუსტეზე.

1.3.5 ძირითადი აქტივების ცვეთა

სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში მუხლმა – „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები“ **27,407,145** ლარი შეადგინა. აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი ხარვეზები:

- **საჯარო რეესტრის სააგენტო** ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხ ბაზად ნაცვლად ისტორიული³⁸ ღირებულებისა, იყენებს 2012 წლის დასაწყისისთვის არსებულ ნარჩენ ღირებულებებს. შედეგად, საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთის ხარჯი ნაჩვენებია შემცირებულად. წარმოდგენილი ინფორმაციით, ვერ ხორციელდება აქტივების საწყისი ღირებულების დადგენა, შესაბამისად, კორექტირებისთვის საჭირო თანხა ზუსტად ვერ განისაზღვრა;
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ახალი სათავო ოფისის შენობაზე³⁹ არ არის დარიცხული ცვეთა **296,744** ლარის ოდენობით;
- **იუსტიციის სახლი** – ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის ბაზად ნაცვლად ისტორიული ღირებულებისა, გამოყენებულია ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ასევე ცვეთა არ არის დარიცხული **630,288** ლარის ძირითად საშუალებებზე.⁴⁰ მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების შემთხვევაში, გარდა ცვეთის დარიცხვის არასწორი ბაზისა, ასევე არასწორად არის გამოყენებული ცვეთის დარიცხვის კოეფიციენტი – 10%-ის ოდენობით;⁴¹
- **სპეციალური პენიტენციური სამსახური** – სპეციფიკური დანიშნულების აქტივების⁴² მხოლოდ ნახევარს აქვს ცვეთა დარიცხული. 2020 წელს დაურიცხავი ცვეთა შეადგენს **28,181** ლარს, თუმცა წინა წლებთან შედარებით, როდესაც ცვეთის დარიცხვა საერთოდ არ ხდებოდა, აღრიცხვის ეს ნაწილი გაუმჯობესებულია; ასევე აღსანიშნავია, რომ სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ფინანსური აღრიცხვა, ზოგადად, ძალოვანი უწყებებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებას წარმოადგენს;
- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** 2020 წელს არ განუხორციელებია განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების⁴³ ნაწილსა და ინვენტარის⁴⁴ ნაწილზე ცვეთის დარიცხვა, შესაბამისად, **15,900** ლარისა და **168,826** ლარის ოდენობით;

³⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, დანართი N1, მუხლი 2, პუნქტები: „ბ“, „დ“.

³⁹ ექსპლუატაციაში შესულია 2020 წლის აგვისტოდან.

⁴⁰ ბრუნვითი უწყისის მიხედვით – საწყობში არსებული ძირითადი საშუალებები.

⁴¹ ღირებულება – 10,724,829 ლარი, დარიცხული ცვეთა – 1,072,459 ლარი.

⁴² გარდა ამ ოდენობისა, სამსახურს აქვს 500 ლარზე ნაკლები ღირებულების 215 ერთეული სპეციფიკური დანიშნულების აქტივი, რაც კლასიფიცირებული უნდა იყოს მარაგად.

⁴³ პროგრამული უზრუნველყოფები, ვებგვერდი, ლიცენზიები, სატელევიზიო ვიდეორგოლები და ა.შ. – ღირებულებით 15,900 ლარი.

⁴⁴ 517 ერთეულ ინვენტარზე (ნარჩენი ღირებულება – 1,676,568 ლარი, ისტორიული ღირებულება – 1,740,400 ლარი).

- 2020 წელს თბილისის იუსტიციის სახლზე არ არის დარიცხული ცვეთა 827,346 ლარის ოდენობით (N1.3.1 საკითხი);
- ციფრული მმართველობის სააგენტოს და მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის მიერ შენობა-ნაგებობებზე დაურიცხავი ცვეთა 2020 წელს 23,937 ლარს⁴⁵ შეადგენს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლი „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები“, შემცირებულია 1,360,934 ლარით. ასევე აქტივების ნაწილზე არ ან არასრულად არის დარიცხული ცვეთა. შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯების“ მუხლში აღრიცხული თანხების სისწორესა და სიზუსტეზე.

1.4 მატერიალური მარაგები

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში მატერიალური მარაგების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 31,680,828 ლარს შეადგენს, აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს და საჯარო რეესტრის სააგენტოს** ერიცხებათ 813,495 ლარის საბალანსო ღირებულების⁴⁶ შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარი მარაგები, რომელთაგან მოსალოდნელი არ არის რაიმე სახის სარგებლის მიღება⁴⁷ ან მათი შემდგომი გამოყენება, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს;⁴⁸
- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** მატერიალური მარაგების ანგარიშზე ირიცხება 550,989 ლარის საბალანსო ღირებულების, 500 ლარზე მეტი ღირებულების მქონე აქტივები, რომელთა გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია, შესაბამისად, ისინი უნდა კლასიფიცირდეს ძირითად აქტივებად;⁴⁹
- **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს, სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს** ფინანსურ ანგარიშგებაში 49,353 ერთეული მატერიალური მარაგი⁵⁰ ასახულია მხოლოდ რაოდენობრივად, არ არის ღირებულებით შეფასებული.

შესაბამისად, „მატერიალური მარაგების“ მუხლი 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 1,364,485 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.5 მოთხოვნები

იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები“ და „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“ ჯამურად 39,781,069 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლენილია შემდეგი გარემოებები:

⁴⁵ ციფრული მმართველობის სააგენტო - 13,682 ლარი; მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრი - 10,255 ლარი.

⁴⁶ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს - 502,072 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო - 311,423 ლარი.

⁴⁷ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (აქტივის განმარტება).

⁴⁸ ექვემდებარება შემდგომი პროცედურების საფუძველზე ბალანსიდან ჩამოწერას - გადაცემას სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოზე.

⁴⁹ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 76 (მიმდინარე აქტივების განმარტება).

⁵⁰ აღსრულების ეროვნული ბიურო: 2000 ერთეული სპეციფიკური გამოყენების მარაგი; სპეციალური პენიტენციური სამსახური და სერვისების სააგენტო, შესაბამისად, 44,210 ერთეული და 3,143 ერთეული სხვადასხვა ტიპის მარაგი.

- 2020 წელს სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და იუსტიციის სახლს უნდა შეემცირებინათ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული, სხვადასხვა ორგანიზაციის დაჯარიმებით წარმოშობილი მოთხოვნები 102,506 ლარის⁵¹ ოდენობით, რაც არ განხორციელებულა.
- საჯარო რეესტრის სააგენტოს მოთხოვნების ანგარიშზე არ აქვს ასახული სასამართლოს გადაწყვეტილების⁵² საფუძველზე მოპასუხისთვის დაკისრებული თანხა – 58,800 ლარის ოდენობით;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოთხოვნებიდან 454,961 ლარი მოიცავს დარიცხული ჯარიმებით მოთხოვნებს. თანხების ამოსაღებად სამსახურის მხრიდან ღონისძიება არ განხორციელებულა;
- სერვისების სააგენტოს, საჯარო რეესტრის სააგენტოს და ეროვნული არქივის მოთხოვნები მოიცავს ხანდაზმულ დებიტორულ დავალიანებებს, ჯამურად – 226,656 ლარის ოდენობით,⁵³ რომელთა მიღების ალბათობა მცირეა;⁵⁴
- იუსტიციის სახლის მოთხოვნებიდან 247,827 ლარი წარმოადგენს საიჯარო მოთხოვნებს. 2020 წელს არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, იუსტიციის სახლების ფილიალებში მოიჯარეების უმრავლესობა ვერ ფუნქციონირებდა სრული დატვირთვით. მიუხედავად ამისა, მოთხოვნების დარიცხვა მაინც ხორციელდებოდა, თუმცა თანხის მიღების ალბათობა მცირეა;⁵⁵
- იუსტიციის სახლის მიერ 2019-2020 წლებში ხარჯად არ არის აღიარებული ქონების გადასახადი, შესაბამისად, 681,738 ლარის და 1,332,310 ლარის⁵⁶ ოდენობით. გამომდინარე აქედან, „საგადასახადო მოთხოვნებისა“ და „წმინდა აქტივები/კაპიტალის“ მუხლები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2,014,048 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
- საჯარო რეესტრის სააგენტოს საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე არსებული მოთხოვნის ნაშთი ჯამურად 1,356,721 ლარით მეტია 2020 წლის ბოლოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საგადასახადო მოთხოვნების ნაშთზე.

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების მუხლი 1,175,517 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

⁵¹ სპეციალური პენიტენციური სამსახური - 20,248.45 93 ლარი, იუსტიციის სახლი - 82,258 ლარი (სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესამცირებელია მოთხოვნების თანხები).

⁵² შპს „ფენიქსი“, სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 იანვრის გადაწყვეტილება.

⁵³ ეროვნული არქივი - 91,335 ლარი; საჯარო რეესტრის სააგენტო - 124,649 ლარი; სერვისების სააგენტო - 10,672 ლარი. 2020 წელს ეროვნულ არქივს განხორციელებული აქვს სხვადასხვა ღონისძიება ხანდაზმულ დებიტორებთან მიმართებით. აღნიშნული ციფრები დარჩენილი ნაშთია, რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლას, ხოლო სერვისების სააგენტოს მიერ ხანდაზმული დავალიანებები ჩამოწერილია 2021 წელს.

⁵⁴ სსბასს I - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 - აქტივის განმარტება.

⁵⁵ მიმდინარე ეტაპზე მზადდება მთავრობის განკარგულების პროექტი, რაც შესაძლებელს გახდის საიჯარო ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანას.

⁵⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“, მუხლი 56.

1.6 ვალდებულებები

1.6.1 კრედიტორული დავალიანება

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების ჯამური ნაშთი 21,493,514 ლარს შეადგენს. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- კრედიტორული დავალიანების ნაშთი მოიცავს 2005 წელს გაუქმებული მიწის მართვის დეპარტამენტის 1,160,374 ლარის ვალდებულებებს, რაც წარმოადგენს 2004 წლამდე წარმოშობილ დავალიანებებს,⁵⁷ რომელზეც ბრუნვა არ განხორციელებულა წლების განმავლობაში, შესაბამისად, მათი დაფარვის ალბათობა დაბალია;⁵⁸
- ხანდაზმული ვალდებულებები ირიცხება ასევე ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს ბალანსზე, ჯამურად – 80,713 ლარი;⁵⁹
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2020 წელს განხორციელებული ვალდებულებების წარმოშობის ოპერაციების ნაწილი, ნაცვლად 2020 წლისა,⁶⁰ ვალდებულებების ანგარიშზე ასახული აქვს 2021 წელს, ჯამური თანხით – 1,333,840 ლარი. შესაბამისად, ვალდებულებების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულად არის წარმოდგენილი;
- სერვისების სააგენტოს მიერ 2020 წლის ბოლოს არ არის გადაფასებული უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები. შედეგად, ვალდებულების საბოლოო ნაშთი 686,574 ლარით⁶¹ შემცირებულად არის წარმოდგენილი;
- სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, ვალდებულების სახით არ არის აღიარებული 2020 წლის ბოლოს დასრულებული სასამართლო დავების შედეგად დაკისრებული თანხები – 178,229 ლარის ოდენობით.⁶²

შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „ვალდებულებების“ მუხლი 957,556 ლარით შემცირებულად არის წარმოდგენილი.

1.6.2 საგადასახადო ვალდებულებები

სპეციალური პენიტენციური სამსახურის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება საგადასახადო ვალდებულება 5,401,939 ლარის ოდენობით. შემოსავლების სამსახურის საგადასახადო პორტალზე არსებულ შედარების აქტში⁶³ დაფიქსირებული შენიშვნის მიხედვით, სამსახურისთვის დავალიანების წარმოშობის საფუძველი არ არის ცნობილი, მას არ გააჩნია აღნიშნულ ვალდებულებასთან დაკავშირებული პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაცია და დავალიანება არასდროს ყოფილა აღრიცხული სამსახურის მიერ წარდგენილ რომელიმე პერიოდის ანგარიშგებაში.

⁵⁷ სხვადასხვა ორგანიზაციის და ყოფილი თანამშრომლების მიმართ.

⁵⁸ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (ვალდებულების განმარტება).

⁵⁹ ეროვნული არქივი (2010 - 2017 წწ.) - 10,001 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო (2012 - 2017 წწ.) - 49,150 ლარი, სერვისების სააგენტო (2014 - 2016 წწ.) - 21,562 ლარი.

⁶⁰ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

⁶¹ სსბასს 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, პუნქტი 44.

⁶² სერვისების სააგენტო - 142,370 ლარი; აღსრულების ეროვნული ბიურო - 35,859 ლარი.

⁶³ შედარების თარიღი: 22.02.2021.

შესაბამისად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში საგადასახადო ვალდებულებების მუხლის სიზუსტესა და სისრულეზე.

1.6.3 აღსრულების ეროვნული ბიუროს ვალდებულებები დეპოზიტებით/შემოსავლები

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, მუხლის – „ვალდებულებები დეპოზიტით“ საწყისი და საბოლოო ნაშთები შეადგენს, შესაბამისად, 141,822,555 და 147,141,234 ლარს. აღნიშნული მუხლი შედგება სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებული და კრედიტორებისთვის გასანაწილებელი თანხებისა და გირაოს⁶⁴ თანხებისაგან. ვალდებულებების აღრიცხვასთან მიმართებით ვლინდება შემდეგი გარემოებები:

- 2,274,969 ლარის ოდენობით სადეპოზიტო ვალდებულების წარმოშობის წელი და კრედიტორების ვინაობა არ არის იდენტიფიცირებული. აღსრულების ეროვნული ბიუროს განმარტებით, აღნიშნული საკითხი უკავშირდება ბიუროს შექმნის დროს არსებულ აღრიცხვის პრობლემებს, რის შედეგადაც ვერ ხერხდება კრედიტორების იდენტიფიცირება;
- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადეპოზიტო ვალდებულებების ანგარიშზე არსებული ნაშთი მოიცავს 109,000-მდე საქმეს, ნაშთების და ოპერაციების კონტროლისთვის არ არსებობს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა დამუშავება ხდება მანუალურად, MS Excel-ის პროგრამაში, რაც საჭიროებს დიდ დროის რესურსს. კონტროლის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომის დაშვების რისკიც. ამგვარი სახის კონტროლი ვერ უზრუნველყოფს სადეპოზიტო თანხების შესახებ სანდო და ოპერატიული ინფორმაციის მიღებას;
- შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის არარსებობის გამო, სადეპოზიტო ვალდებულებების ბუღალტრულად აღრიცხვა არ წარმოებს ინდივიდუალურად, კრედიტორების მიხედვით. საბუღალტრო ანგარიშზე თანხების ზრდა და შემცირება აისახება ჯამურად, ბანკის ამონაწერებში დაფიქსირებული თანხების შესაბამისად. ნაშთები მოიცავს გირაოს თანხებს, სააღსრულებო პროცედურების შედეგად ამოღებულ და კრედიტორებისთვის გადასარიცხ, ასევე კანონმდებლობით დადგენილ, ბიუროს მომსახურების საფასურის თანხებს. მათი ოდენობა დგინდება ამოღებული თანხების განკარგვის შესახებ დოკუმენტაციის საფუძველზე (საფასურის განკარგვის შესახებ მიმართვა), რომლის შედგენაც ხშირ შემთხვევებში ხორციელდება საანგარიშო წლის დასრულებამდე, რის საფუძველზეც ბიუროს საფასურის თანხით სადეპოზიტო ვალდებულების ანგარიში უნდა შემცირდეს და თანხა აღიარდეს შემოსავლად.

აღსრულების ეროვნული ბიუროს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი შემოსავლებიდან 1,923,069 ლარის⁶⁵ წარმოშობის თარიღია

⁶⁴ ფულადი თანხა ან სხვა ფასეულობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს, ან წინასწარი გამოძიების ორგანოს დეპოზიტზე შეაქვს ბრალდებულს.

⁶⁵ დღგ-ის ჩათვლით.

2019 ან წინა წელი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს 2020 წლების შემოსავალს, ასევე 2020 წელს გამომუშავებული⁶⁶ შემოსავლების ნაწილი 568,488 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ოდენობით, არ არის აღიარებული 2020 წლის ანგარიშგებაში;⁶⁷

- სადეპოზიტო ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთები, შესაბამისად, 371,955 და 51,235 ლარი, მოიცავს გამარტივებული საქმისწარმოების საფასურის თანხებს,⁶⁸ რომელიც ბიუროს შემოსავალია და არა – სადეპოზიტო ვალდებულება.⁶⁹ ვინაიდან ბიუროს მიმდინარე ანგარიში (ხაზინის) არ არის ბილინგის სისტემასთან ინტეგრირებული, თანხა თავდაპირველად ირიცხება სადეპოზიტო ანგარიშზე, ხოლო მიმდინარე ანგარიშზე გადაიტანება პასუხისმგებელი თანამშრომლის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, თანხა, ნაცვლად ანგარიშისა – „ვალდებულებები დეპოზიტით“, უნდა აღიარდეს შემოსავლების ანგარიშზე. ასევე მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხვამდე, ბიურო ვერ განკარგავს აღნიშნულ თანხას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „სადეპოზიტო ვალდებულებების“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთები გაზრდილია. შესაბამისად, 2,295,024 და 619,723 ლარით, ასევე გაზრდილია 2020 წლის შემოსავლის მუხლი 1,147,950 ლარის⁷⁰ ოდენობით. ამასთანავე, ვერ ვრწმუნდებით 2,274,969 ლარის სადეპოზიტო ვალდებულებების არსებობასა და სიზუსტეში.

1.7 შემოსავლები

1.7.1 შემოსავლების აღიარება დარიცხვის მეთოდით

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი სერვისების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის სააგენტოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მიხედვით, მათ მიერ 2020 წელს მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავლებმა, დღგ-ის გარეშე, 29,647,605 ლარი და 6,485,409 ლარი შეადგინა.⁷¹

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ინტეგრირებული იქნება მომხმარებლის მიერ წინასწარ გადახდილი საფასურების და ფაქტობრივად გაწეული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა შემოსავლების დარიცხვის მეთოდით⁷² აღრიცხვას და შექმნიდა კონტროლის მექანიზმს იმ მიზნით, რომ სააგენტოები დარწმუნდნენ მიღებული შემოსავლებისა და მიღებული ავანსების სისრულეში.

⁶⁶ დაანგარიშების თარიღი: 2020 წელი.

⁶⁷ შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვაზე ტენდერის გამოცხადების მიზნით, ბიუროში ამჟამად მზადდება ტექნიკური დოკუმენტაცია.

⁶⁸ აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურება, რომლის მიხედვით ხორციელდება ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავის მოგვარება სასამართლო დავის გარეშე. კანონმდებლობით განსაზღვრული საფასური ერთ განცხადებაზე - 100 ლარია.

⁶⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ, მუხლი 27.

⁷⁰ 1,923,069/1,18-568,488/1,18.

⁷¹ სერვისების სააგენტო - 29,647,605 ლარი, საჯარო რეესტრის სააგენტო - 6,485,409 ლარი (საჯარო რეესტრის სააგენტოს შემოსავლები წარმოდგენილია არასრულყოფილად, იხ. საკითხი 1.4.2 - შემოსავლების არასწორი კლასიფიკაცია).

⁷² დარიცხვის მეთოდი - ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი განხორციელებისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება.

აუდიტის შედეგად, ბილინგის სისტემაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირებულია 786,807 ლარის განაცხადი,⁷³ რომელსაც აქვს სტატუსი – „მიმდინარე“. შესაბამისად, თანხა 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად შემოსავლისა, უნდა აღიარდეს, როგორც კრედიტორული დავალიანება (მიღებული ავანსი).⁷⁴

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს სამუშაოები, IT დეპარტამენტის ჩართულობით.

1.7.2 შემოსავლების არასწორი წარდგენა

საჯარო რეესტრის სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, მიღებული შემოსავლები 46,039,388 ლარს შეადგენს, აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- სხვადასხვა შემოსავლის სახით აღიარებულია 2020 წელს დაუმთავრებელი მშენებლობიდან შენობა-ნაგებობების ანგარიშზე რეკლასიფიკაციის თანხა – 28,236,277 ლარი, რაც არ წარმოადგენს შემოსავლის ოპერაციას;⁷⁵
- 2020 წელს სააგენტოს მიერ საქონლის და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული საკასო შემოსავალი (დღგ-ის გარეშე) შეადგენს 33,581,128 ლარს, ხოლო ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში მუხლში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“ აღიარებულია მხოლოდ 6,485,409 ლარი.

შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლების მუხლი 1,140,558 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

1.8 ხარჯები

სამინისტროს მიერ წარდგენილ 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები ჯამურად 330,527,233 ლარს შეადგენს, აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- იუსტიციის სახლის მიერ ხარჯების ანგარიშზე არ არის აღიარებული 2020 წლის ქონების გადასახადის თანხა – 1,332,310 ლარი;⁷⁶
- სერვისების სააგენტოს მიერ გადაფასებული არ არის უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებები, რის შედეგადაც 2020 წელს ხარჯად არ არის აღიარებული 686,574 ლარი;⁷⁷
- აღსრულების ეროვნულ ბიუროს 2020 წელს 500 ლარზე ნაკლები 1,402,683 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში არსებული გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერა, ნაცვლად წინა პერიოდის არსებითი შეცდომის რეტროსპექტულად გასწორებისა,⁷⁸ ასახული აქვს 2020 წლის ხარჯებში;
- სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2020 წლის ინვენტარიზაციის საფუძველზე აღმოჩენილი, წინა პერიოდებში შეცდომით აღრიცხული 719,986 ლარის მატერიალური მარაგის (მედიკამენტები) არარეალური

⁷³ საჯარო რეესტრის სააგენტო - 270,926 ლარი; სერვისების სააგენტო - 515,881 ლარი.

⁷⁴ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

⁷⁵ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, მუხლი 7 (შემოსავლის განმარტება).

⁷⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“, მუხლი 56.

⁷⁷ სსბასს 4 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები, პუნქტი 44.

⁷⁸ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.

1.9 სახელმწიფო საწარმოებში არსებული წილების კონსოლიდაცია კაპიტალ-მეთოდით

დანაკლისი, ნაცვლად წინა პერიოდის არსებითი შეცდომის რეტროსპექტულად გასწორებისა,⁷⁹ ასახული აქვს 2020 წლის ხარჯებში (იხ. საკითხი N1.1);

- **საჯარო რეესტრის სააგენტოს** ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში 650,095 ლარის მატერიალური მარაგების ჩამოწერის ოპერაცია შეცდომით დუბლირებულად არის ასახული, როგორც „საქონელი და მომსახურების“, ასევე – „სხვადასხვა ხარჯებში“. შესაბამისად, გაზრდილია ჯამური ხარჯების თანხაც. გარდა ამისა, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში სააგენტოს არ აქვს ასახული ხარჯი 238,074 ლარის ოდენობით;

- **სპეციალური პენიტენციური სამსახურის, სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს** მიერ ხარჯების არასწორ საანგარიშგებო პერიოდში⁸⁰ ასახვის გამო,⁸¹ 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები ჯამურად გაზრდილია 2,610,451 ლარის⁸² ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში „ხარჯების“ მუხლი ჯამურად 3,126,257 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

სამინისტროს მიერ წარდგენილ 2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მის სისტემაში შემავალი სსიპ-ების მფლობელობაში არსებული სახელმწიფო საწარმოები არ არის კონსოლიდირებული კაპიტალ-მეთოდით, სააღრიცხვო ინსტრუქციის შესაბამისად:⁸³

- **დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს** 2020 წელს არ განუხორციელებია მის მიერ დაფუძნებულ შპს „პერსპექტივაში“ არსებული 825,000 ლარის⁸⁴ გრძელვადიანი ფინანსური აქტივის კორექტირება შპს-ს აკუმულირებული ზარალით, რომელმაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 229,656 ლარი შეადგინა. შესაბამისად, გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ანგარიში 229,656 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;

- **მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის** მიერ 2020 წელს დაფუძნებული შპს „თოლია-2020“-ის 2020 წლის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 15,687 ლარს,⁸⁵ აღნიშნული თანხით არ არის კორექტირებული მუხლი „ვალდებულებები აქციებით და კაპიტალით“.

⁷⁹ სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, პუნქტი 47.

⁸⁰ 2019 წელს განხორციელებული ოპერაციების ნაწილი ასახულია 2020 წელს, ხოლო 2020 წლის ოპერაციების ნაწილი არ არის ასახული შესაბამის პერიოდში.

⁸¹ სპეციალური პენიტენციური სამსახური - 1,880,918 ლარი; სერვისების სააგენტო - 637,938 ლარი; აღსრულების ეროვნული ბიურო - 91,595 ლარი.

⁸² სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 7 (დარიცხვის მეთოდის განმარტება).

⁸³ ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, მუხლი 10, პუნქტი 46.

⁸⁴ წარმოადგენს შპს-ის დაფუძნებიდან (2012 წლიდან) განხორციელებულ შენატანებს.

⁸⁵ 2020 წელს სსიპ-ის მიერ განხორციელებული შენატანი შპს-ში 86,000 ლარს შეადგენს, საიდანაც 68,000 ლარი გადარიცხულია სუბსიდიის, ხოლო 18,000 ლარი - კაპიტალური ტრანსფერის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მუხლი „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“ გაზრდილია 229,65ნ ლარით, მუხლი „ვალდებულებები აქციებით და კაპიტალით“ შემცირებულია 15,687 ლარით, ხოლო მუხლი „წმინდა აქტივები/კაპიტალი“ გაზრდილია 245,343 ლარით.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 სსიპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული გადასახადები

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“⁸⁶ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა ყოველი კვარტლის ბოლოს კანონმდებლობით ნებადართული საკუთარი შემოსავლების 10% უნდა მიმართონ სახელმწიფო ბიუჯეტში. სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ების მიერ 2020 წელს მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა 114,694,287 ლარი შეადგინა,⁸⁷ შესაბამისად, წლის განმავლობაში ბიუჯეტში მიმართვას ექვემდებარებოდა 11,469,429 ლარი, რაც 2020 წელს არ განხორციელებულა. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნულის მიზეზი იყო 2020 წელს არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო სერვისების გაცემის შეჩერება, რამაც სსიპ-ების შემოსავლები მნიშვნელოვნად შეამცირა და არ არსებობდა საკმარისი რესურსი მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სსიპ-ების ფულადი სახსრების ანგარიშზე არსებული ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8,593,209 ლარს შეადგენდა.

2.2 საზოგადოებრივი ცენტრების და იუსტიციის სახლის ფილიალების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვების გაანგარიშებაში არსებული ნაკლოვანებები

სერვისების სააგენტოს 10 საზოგადოებრივი ცენტრის⁸⁸ და იუსტიციის სახლის 3 ფილიალის⁸⁹ მშენებლობაზე 2019-2020 წლებში ჩატარებული ელექტრონული ტენდერების საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმებულია ჯამურად 13,580,101 ლარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 2020 წელს გადახდილმა ანაზღაურებამ 8,306,562 ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნულ სამუშაოებზე 2020 წელს გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფორმა N2). შედეგად გამოვლინდა პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო მასალების დანახარჯების არასწორი დაანგარიშების შემთხვევები, რის გამოც გადასახდელი თანხა ჯამურად გაზრდილია 54,498 ლარით. 2021 წლის ოქტომბრის მდგომარეობით სერვისების სააგენტოს ანგარიშზე კონტრაქტორ კომპანიებს სრულად აქვთ დაბრუნებული ზედმეტად გადახდილი თანხა – 43,683 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხის – 10,815 ლარის დაბრუნებასთან დაკავშირებით იუსტიციის სახლის მიერ სამუშაოების განმახორციელებელ კომპანიებთან დაწყებულია აქტიური კომუნიკაცია.

2.3 შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა სხვადასხვა სსიპ-ში

იუსტიციის სახლის, აღსრულების ეროვნული ბიუროს, სერვისების სააგენტოს და დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა, მათი ანგარიშების მიხედვით, მოიცავს თანამშრომელთა სამსახურებრივი დისციპლინისა და საქმიანობის კანონიერების შემოწმებას, რაც რეალურად ნიშნავს ინსპექტირებას და არ შეესაბამება „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით⁹⁰ შიდა აუდიტის სუბიექტისთვის განსაზღვრულ საქმიანობის მასშტაბს.

⁸⁶ მუხლი 35, პუნქტი 1.

⁸⁷ საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, საპროცენტო შემოსავალი (არ მოიცავს სისტემის შიდა ოპერაციებს).

⁸⁸ აბაშის, ასპინძის, ბაღდათის, დედოფლისწყაროს, ვანის, ნინოწმინდის, ჩოხატაურის, ჭიათურის, ხარაგაულის, ხობის საზოგადოებრივი ცენტრები.

⁸⁹ ქარელის, წყალტუბოს და გარდაბნის იუსტიციის სახლები.

⁹⁰ მუხლი 18, პუნქტი 2.

საქართველოს მთავრობის N391 დადგენილების – „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ჩამონათვალის და მათში შიდა აუდიტის სისტემის დანერგვის და განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“⁹¹ – შესაბამისად, საჯარო რეესტრის სააგენტოში შიდა აუდიტის სტრუქტურული დანაყოფის შექმნა და მის მიერ აუდიტორული საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია 2018 წლიდან, თუმცა სააგენტოში არ არის შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტი (არსებობს შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც ინსპექტირებას ახორციელებს). საკანონმდებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად 2021 წლიდან დაწყებულია მუშაობა, მომზადებულია დებულების პროექტი.

სერვისების სააგენტოს დებულების თანახმად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ამოცანაა „ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით სააგენტოში არსებული ინფრასტრუქტურის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და მოქმედი ელექტრონული პროგრამების აუდიტი“, თუმცა სამსახურის მიერ აღნიშნული ამოცანა არ სრულდება. სააგენტოდან წარმოდგენილი ინფორმაციით, დაწყებულია მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რა მიზნითაც 2021 წელს კონკურსის წესით მიიღეს IT აუდიტორი.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა

სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროში (სამინისტროს აპარატის, ეროვნული არქივის, მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრისა და ციფრული მმართველობის სააგენტოს გარდა) არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა.⁹² აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკამ ასევე უნდა განსაზღვროს არაფინანსური აქტივების კლასიფიცირების (მატერიალური მარაგი, ძირითადი საშუალება) თანხობრივი ზღვარი, რა შემთხვევაშიც ორგანიზაციას შეუძლია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით⁹³ დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციით.⁹⁴

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობით არის გამოწვეული სხვადასხვა საბალანსო ერთეულში რიგ შემთხვევებში ერთსა და იმავე მუხლებთან მიმართებით (ძირითადი აქტივები, ცვეთის ხარჯი, ქონების გადასახადის ხარჯის აღიარება) აღიარების სხვადასხვა მეთოდის/პრინციპის არსებობა.

სამინისტროს განმარტებით, სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება დაგეგმილია 2021 წლის ბოლომდე.

⁹¹ 2016 წლის 12 აგვისტო.

⁹² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4, „ა“ ქვეპუნქტი.

⁹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, თავი I, პუნქტი 5.

⁹⁴ სადაც მცირეფასიან აქტივად განიხილება 500 ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ძირითადი აქტივი.

2.5 საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატს 2020 წელს არ გააჩნდა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა, სააღრიცხვო ინფორმაციის დასამუშავებლად და ე.წ. „მთავარი წიგნის“ საწარმოებლად. სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოება ხორციელდებოდა პროგრამა MS Excel-ის გამოყენებით, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესთან დაკავშირებული კონტროლის ნაკლოვანებაა და ზრდის ადამიანური შეცდომით გამოწვეული უზუსტობის რისკს. სამინისტროს აპარატის განმარტებით, 2021 წელს განხორციელდა ბუღალტრული პროგრამის შესყიდვა და მიმდინარეობს მის დანერგვასთან დაკავშირებული სამუშაოები.

იუსტიციის სახლის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა (FMG), სხვადასხვა სახის ხარვეზის გამო, ვერ უზრუნველყოფს არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების სათანადოდ აღრიცხვას.⁹⁵

საჯარო რეესტრის სააგენტო სარგებლობს საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ორის-მენეჯერით, აღსანიშნავია რომ პროგრამაში არსებულ ბრუნვით უწყისში (ე.წ. „მთავარი წიგნი“) 2020 წლის საწყის და საბოლოო ნაშთებში არ ბალანსდება, კერძოდ, აქტივების ჯამი 1,022,962 ლარით მეტია პასივების ჯამზე. სხვაობა მომდინარეობს წინა საანგარიშო პერიოდებიდან და დაკავშირებულია მარაგების პროგრამული აღრიცხვის ხარვეზთან.

2.6 ფასეულობების მატერიალურად პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულების გაფორმება

საჯარო რეესტრის სააგენტოს ცენტრალურ საწყობსა და სხვა დანაყოფებში, სადაც ხდება ფასეულობების მიღება, შენახვა და განაწილება, მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება სრულ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე,⁹⁶ აღნიშნული დამატებით წარმოშობს აქტივების დაცულობასთან დაკავშირებულ რისკებს.

2.7 სსბასს-ებით გათვალისწინებული პროცედურები არაფინანსურ აქტივებზე

სამინისტროს უწყებების მიერ არაფინანსურ აქტივებთან მიმართებით 2020 წელს არ განხორციელებულა სსბასს-ებით გათვალისწინებული შემდეგი პროცედურები:

- ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა;⁹⁷
- ძირითად აქტივებზე გაუფასურების ტესტის ჩატარება;⁹⁸
- მატერიალური მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებების გადასინჯვა.⁹⁹

2.8 არამატერიალურ აქტივებზე გაწეული დანახარჯების შეფასების შესაბამისი კონტროლის სისტემის არარსებობა

საჯარო რეესტრის სააგენტო და **სერვისების სააგენტო** თავიანთი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, სარგებლობენ სხვადასხვა ფუნქციის საინფორმაციო-ტექნოლოგიური (IT) აპლიკაციებით/პროგრამებით, საიდანაც უმეტესობა შექმნილია საკუთარი რესურსით (საჯარო რეესტრის სააგენტო – 28 პროგრამა/აპლიკაცია, სერვისების სააგენტო – 36 პროგრამა/აპლიკაცია).

⁹⁵ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. მოსაზრების საფუძვლის საკითხი N1.2 - ფასეულობების აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული ნაკლოვანებები იუსტიციის სახლში.

⁹⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 9.

⁹⁷ სსბასს 17 - ძირითადი აქტივები, მუხლი 67 (სასარგებლო მომსახურების ვადების გადასინჯვა).

⁹⁸ სსბასს 21 - ფულადი სახსრების არწარმომქმნელი ერთეულების გაუფასურება, პუნქტი დს20ვ.

⁹⁹ სსბასს 12 - მატერიალური მარაგები, პუნქტი 42 (ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შემოწმება).

აღნიშნული პროგრამების/აპლიკაციების უმრავლესობა უშუალოდ მონაწილეობს სააგენტოების ძირითადი შემოსავლების ფორმირებაში.

გარდა ამისა, **საჯარო რეესტრის სააგენტოს** შიდა რესურსებით შემუშავებულია 15 პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც ყოველწლიურად გადახდილი საფასურის სანაცვლოდ, სარგებლობენ გარე უწყებები. მათ შორისაა, ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ძირითადი საქმისწარმოების პროგრამა.

სააგენტოებში არ არსებობს შესაბამისი კონტროლის სისტემა მათზე გაწეული დანახარჯების ცალკე აღრიცხვისა და შეფასებისთვის, რაც აუცილებელია გაწეული დანახარჯების შემდგომი სწორი კლასიფიკაციისთვის.

2.9 შემოსავლების და ხარჯების არასწორი კლასიფიკაცია

სერვისების სააგენტოს 26,345 ლარის შემოსავალი, ნაცვლად სანქციების და ჯარიმების სახით მიღებული შემოსავლებისა, ასახული აქვს მუხლში „შემოსავლები შიდა ტრანსფერებით“;

სპეციალური პენიტენციური სამსახურის და **იუსტიციის სახლის** მიერ ხარჯების არასწორი კლასიფიკაციის შედეგად, „საქონელი და მომსახურების“ მუხლის ნაცვლად 420,580 ლარის ხარჯი¹⁰⁰ აღიარებულია მუხლში – „გრანტები, ტრანსფერები (სხვა ხარჯები) და სუბსიდიები“.

2.10 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

იუსტიციის სამინისტროში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასთან მიმართებით,¹⁰¹ კერძოდ, **სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, ხოლო **საჯარო რეესტრის სააგენტოს** და **იუსტიციის სახლს** ფინანსურ ანგარიშგებაში,¹⁰² იმავე ტიპის შემოსავალი¹⁰³ არ აქვთ ასახული.

2.11 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საჯარო რეესტრის სააგენტოს, **იუსტიციის სახლის**, **მსჯავრდებულთა მომზადების ცენტრის** და **დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს** ფინანსური ანგარიშგების N6 და N8 შენიშვნებში არ აქვთ წარმოდგენილი ინფორმაცია 2020 წლამდე ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის შესახებ.¹⁰⁴

სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებებიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, იმ დავების ჯამური მოცულობა, რომლებზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება¹⁰⁵ და შესაძლოა წარმოიქმნას ვალდებულება, შეადგენს

¹⁰⁰ იუსტიციის სახლი: „დასუფთავების მოსაკრებელი“ - 55,566 ლარი, ნაცვლად „სხვა ხარჯებისა“, აღიარებულია „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებში; სპეციალური პენიტენციური სამსახური: 255,943 ლარის ტრანსპორტის დაზღვევის ხარჯი, ნაცვლად „სხვა ხარჯისა“, ასახულია „საქონელი და მომსახურების“ ხარჯებში, ხოლო „დასუფთავების მომსახურების“ ხარჯი - 732,089 ლარი, „საქონელი და მომსახურების“ ხარჯის ნაცვლად, ასახულია „სხვა ხარჯებში“.

¹⁰¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის ბრძანება N17 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 45, პუნქტი 19.

¹⁰² მუხლი „შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით“.

¹⁰³ იუსტიციის სახლი - 47,658 ლარი; საჯარო რეესტრის სააგენტო - 66,420 ლარი.

¹⁰⁴ სსბას 17 - ძირითადი აქტივები, პუნქტი 88, ქვეპუნქტი „დ“.

¹⁰⁵ ინფორმაცია არ მოიცავს შრომით დავებს, რაც ეხება განაცდურის ანაზღაურებას: ვინაიდან გადასახდელი თანხის ოდენობა დამოკიდებულია დავის დასრულების დროზე, გადასახდელი თანხის წინასწარ ზუსტი შეფასება ვერ ხდება.

31,685,465 ლარს,¹⁰⁶ ხოლო ისეთი დავების მოცულობა, სადაც უწყებები წარმოადგენენ მხარეს, შეადგენს 527,287 ლარს.¹⁰⁷

სერვისების სააგენტოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ვალდებულების სახით არ არის აღიარებული 2020 წლის ბოლოს დასრულებული სასამართლო დავების შედეგად დაკისრებული თანხები – 178,229 ლარის ოდენობით,¹⁰⁸

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.¹⁰⁹

სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

სამინისტროს აპარატის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის, დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტოს, იუსტიციის სახლის, საჯარო რეესტრის სააგენტოს და სერვისების სააგენტოს მიერ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აღნიშნული დავების შესახებ.¹¹⁰

2.12 ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის არარსებობა

იუსტიციის სამინისტრო და სპეციალური პენიტენციური სამსახური, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად ითვლებიან კრიტიკული ინფორმაციის სისტემის სუბიექტებად,¹¹¹ არ გააჩნიათ ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,¹¹² რაც მნიშვნელოვნად ზრდის რისკებს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებით.

¹⁰⁶ საჯარო რეესტრის სააგენტო - 30,516,848 ლარი, აღსრულების ეროვნული ბიურო - 888,402 ლარი, იუსტიციის სახლი - 140,000 ლარი, სერვისების სააგენტო - 110,215 ლარი, დანაშაულის პრევენციის და პრობაციის სააგენტო - 30,000 ლარი.

¹⁰⁷ აღსრულების ეროვნული ბიურო - 82,376 ლარი, სპეციალური პენიტენციური სამსახური - 4,264 ლარი, იუსტიციის სახლი - 425,420 ლარი, სერვისების სააგენტო - 15,227 ლარი.

¹⁰⁸ სერვისების სააგენტო - 142,370 ლარი; აღსრულების ეროვნული ბიურო - 35,859 ლარი.

¹⁰⁹ სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

¹¹⁰ სსბასს 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

¹¹¹ „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების წუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 აპრილის დადგენილება N312.

¹¹² 6391-III (05.06.2012), მუხლი 4.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან **კონსოლიდირებული** ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით – არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის, თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

ხელმოწერა

ლევან შუბითიძე

წამყვანი აუდიტორი

ვალერი სანაია

წამყვანი აუდიტორი

სალომე მანჯგალაძე


უფროსი აუდიტორი


ნიკოლოზ ქაჯაია

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

მარიამ ერაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა- განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
ორგანიზაციის დასახელება

203 845 349
საიდენტიფიკაციო ნომერი

ქ. თბილისი, გორგასლის 24ა
ერთეულის იურიდიული მისამართი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად
ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს
ერთეულის საქმიანობის შესახებ

ნაერთი ფინანსური ანგარიშგება (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)
ანგარიშგების თარიღი

2020 წელი
საანგარიშგებო პერიოდი

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

დამრგვალების დონე: ერთეული

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი - ნინო გუგენიშვილი; საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი -
ვალიდა კოროშინაძე
ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან/და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის
შესახებ ინფორმაცია



ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი

თარიღი: 05.05.2021

ნინო გუგენიშვილი

ვალიდა კოროშინაძე

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
	აქტივები			
	მოკლევადიანი აქტივები			
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	N2	157,019,443	148,612,275
002	მიმდინარე ინვესტიციები	N2a	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	N2a	15,600,754	12,533,744
004	მატერიალური მარაგები	N3	31,680,828	28,491,463
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	N4	24,180,315	19,359,891
006	სულ მოკლევადიანი აქტივები		228,481,340	209,017,373
	გრძელვადიანი აქტივები			
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	N5	825,000	825,000
008	ძირითადი აქტივები	N6	623,353,792	578,602,287
009	საინვესტიციო ქონება	N7	-	-
010	არამატერიალური აქტივები	N8	12,729,639	14,874,039
011	შეღვათიანი მომსახურების აქტივები	N9	-	-
012	ფინანსური იჯარით აქტივები	N10	-	-
013	სხვა არაფინანსური აქტივები	N11	118,953,366	139,383,625
014	სულ გრძელვადიანი აქტივები		755,861,797	733,684,951
015	სულ აქტივები		984,343,137	942,702,324
	ვალდებულებები			
	მოკლევადიანი ვალდებულებები			
016	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	N12	-	-
017	კრედიტორული დავალიანება	N13a	21,493,514	8,290,567
018	გადასახდელი პროცენტი	N13a	-	-
019	მიმდინარე ანარიცხები	N13b	-	-
020	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	N13a	115,539	129,596
021	ვალდებულებები დიპონიტებით	N13b	149,401,034	142,901,564
022	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	N13b	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		171,010,087	151,261,727
	გრძელვადიანი ვალდებულებები			
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	N12	-	-
025	გრძელვადიანი კრედიტები და სესხები	N12	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	N10, N12	-	-
027	შეღვათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	N9, N12	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	N13b	-	-
029	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	N13a	301	5,868,109
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		301	5,868,109
031	სულ ვალდებულებები		171,010,388	157,129,836
	წმინდა აქტივები/კაპიტალი			
032	შეტანილი კაპიტალი		-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტ/დეფიციტი		813,332,749	785,572,488
034	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი		813,332,749	785,572,488
035	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი		984,343,137	942,702,324

საცნობარო ანგარიშები

საოპერაციო იჯარით მიღებული ძირითადი აქტივები	01	-	-
პასუხსაგებ შენახვად მიღებული აქტივები	02	39,733	59,968
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	03	5,650,717	5,427,226
ხარჯებში ჩამოწერილი მატერიალური მარაგები ექსპლუატაციაში	04	24,232,249	23,493,664
პირობითი აქტივები	05	22,023	22,537
პირობითი ვალდებულებები	06	-	-
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07	-	-
სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში	08	38,939,299	34,587,509
ვადაგადაცილებული დავალიანებები	09	172,994,713	6,583,963
განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	10	-	-
საბანკო გარანტიები	11	-	-
ჩამოწერილი კრედიტორული დავალიანებები	12	2,849,662	2,557,971

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

საბუღალტრო დოკუმენტის სამართლებრივი უფროსი



30.05.2021

თარიღი:

ნინო გუგუნიშვილი

ვალადა კოროშინაძე

05.05.2021

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	შენიშვნა	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
	შემოსავლები					
001	საგადასახადო შემოსავლები	N14 ა	-	-	-	-
002	შემოსავლები სოციალური შენატებით					
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	N14 გ	76,919	-	76,919	924,294
004	შემოსავლები გრანტებით	N14 ბ	1,307,226	83,590	1,390,816	22,673,937
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	N14 ვ	437,733	56,126	493,859	3,417,411
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	N14 ზ	238,813,273	26,344	238,839,617	216,832,888
007	შემოსავლები გაცემითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა (მ.შ სხვა)	N15ა	597,399	57,929,894	58,527,293	132,011,547
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიებიდან მიღებული შემოსავლები	N15ბ	-	-	-	-
009	საპროცენტო შემოსავლები	N15ა	-	14,758,103	14,758,103	12,563,934
010	სხვადასხვა შემოსავლები	N16	14,744,617	29,456,270	44,200,887	23,787,022
011	სულ შემოსავლები		255,377,167	102,310,327	358,287,494	412,211,033
	ხარჯები					
012	შრომის ანაზღაურების ხარჯები	N17ა	70,212,915	39,408,787	109,621,702	115,049,626
013	საქონელი და მომსახურება	N17ბ	121,980,327	47,140,611	169,124,938	174,365,566
014	გრანტები, ტრანსფერები(სხვა ხარჯები) და სუბსიდიები	N17ბ N17ა N17გ	7,612,213	4,661,888	12,274,521	52,476,386
015	ხარჯები შიდა ტრანსფერებით	N17ა	769,780	-	769,780	1,682,000
016	ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯები	N17ა	19,052,796	8,354,349	27,407,145	27,598,841
017	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურება	N18	-	-	-	-
018	სოციალური დახმარება	N17ა	1,663,244	2,116,153	3,779,397	5,117,346
019	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიებიდან მიღებული ზარალი	N17ა	-	-	-	-
020	სხვადასხვა ხარჯები	N18	3,083,459	4,466,291	7,549,750	16,263,324
021	ფინანსური ხარჯები (საპროცენტო ხარჯები)	N 17ა	-	-	-	-
022	სულ ხარჯები		224,377,234	106,149,999	330,527,233	392,553,089
023	გერიოდის წამები (დეფიციტი)		31,599,933	(3,839,672)	27,760,261	19,657,944



გვონიმიკური დეპარტამენტის უფროსი

საბუღალტრო აღრიცხვის სამსახურის უფროსი

ნინო გუგუნიშვილი

ვალიდა კოროზინაძე

თარიღი:

05.05.2021

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება*

		შენიშვნა	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
			საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო	სულ	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან								
შემოსული თანხები (მიღებები)								
10	გადასახადები	N19						
11	სოციალური შენატანები							
12	გრანტები							
13	შემოსავლები საკუთრიდან							
14	მ.შ.პროცენტი							
15	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მიღებული თანხები							
16	სანქციები, საურავები და ჯარიმები							
17	სხვა შემოსავლები							
18	დროებით გაურკვეველი თანხები							
გადახდილი თანხები (გაფრები)								
19	თანამშრომლების შრომის ანაზღაურება							
20	მომწოდებლებისათვის გადახდილი თანხები საქონლისა და მომსახურებისათვის							
21	გრანტები და სუბსიდიები							
22	სოციალური დახმარება							
23	გადახდილი პროცენტი							
24	სხვა ხარჯები (გაფრები, გასვლები)							
25	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	N20						
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან								
26	ძირითადი აქტივების შესყიდვა							
27	არამატერიალური აქტივების შესყიდვა							
28	სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა							
29	ინვესტიციების (წილების) შესყიდვა							
30	ფასიანი ქაღალდების შესყიდვა							
31	გაცემული სესხები							
32	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების ზრდა							
33	ძირითადი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები							
34	არამატერიალური აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები							
35	სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული თანხები							
36	ინვესტიციების (წილების) გაყიდვებიდან მიღებული თანხები							
37	ფასიანი ქაღალდების გაყიდვა							
38	ფინანსური იჯაროდან მიღებული ძირითადი თანხები							
39	სესხების დაფარვიდან მიღებული თანხები							
40	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების კლება							
41	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან							
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან								
42	მთავრობის მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები							
43	მთავრობის ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული თანხები							
44	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოშვებიდან მიღებული თანხები							
45	სხვა ნასესხები თანხებიდან მიღებული თანხები							
46	მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა (დაფარვა)							
47	სამთავრობო ობლიგაციების გამოსყიდვა (დაფარვა)							
48	უცხოურ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა (დაფარვა)							
49	ფინანსური იჯარის ძირითადი თანხის გადახდა (დაფარვა)							
50	სხვა ნასესხები თანხების გადახდა (დაფარვა)							
51	გადახდილი დებოზიტებით							
52	გადახდილი დებოზიტებით ბაზინაში							
53	გადახდილი დებოზიტებით ბანკში							
54	სარეზერვო ფონდი							
55	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან							
56	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)							
57	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში, მათ შორის							
58	ხაზინის ერთიანი ანგარიში და სხვა საბანკო საღარე ანგარიშები, ბანკნოტები და მონეტები							
59	საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში							
60	3 თვემდე ვადიანი დებოზიტები ლარში							
61	კურსთა სხვაობით მიღებული მოგება (ზარალი)							
62	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს, მათ შორის							
63	ხაზინის ერთიანი ანგარიში და სხვა საბანკო საღარე ანგარიშები, ბანკნოტები და მონეტები							
64	საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში							
65	3 თვემდე ვადიანი დებოზიტები ლარში							

* ფორმა იყენებს კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მართვასა და კონტროლს

ეკონომიკური დარგის განყოფილება

საბუღალტრო დარგის სამმართველოს უფროსი



3. კონტროლი

წმინდა გუგენიშვილი

ვალიდა კორომინაძე

თარიღი: 05.05.2021

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

საანგარიშგებო წელი

	შენიშვნა	კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტ/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი		516,007,908.00	269,668,509.00	785,676,417
11	სააღრიცხვო პერიოდის ცვლილებები	N1	-	-	-
12	არსებითი შეცდომების კორექტირებები (წინა პერიოდების შეცდომები)	N1	119,945	(223,874)	(103,929)
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	516,127,853	269,444,635	785,572,488
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	-	31,599,933	(3,839,672)	27,760,261
15	დამფუძნებლების შენატანები	-	-	-	-
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	-	31,599,933	(3,839,672)	27,760,261
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები	-	-	-	-
18	საბოლოო ნაშთი	-	547,727,786	265,604,963	813,332,749

საანგარიშგებო წლის წინა წელი

		კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტ/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი		498,109,742	267,908,731	766,018,473
11	სააღრიცხვო პერიოდის ცვლილებები	-	-	-	-
12	არსებითი შეცდომების კორექტირებები (წინა პერიოდების შეცდომები)	-	-	-	-
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	498,109,742	267,908,731	766,018,473
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	-	17,898,166	1,759,778	19,657,944
15	დამფუძნებლების შენატანები	-	-	-	-
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	-	17,898,166	1,759,778	19,657,944
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები	-	-	-	-
18	საბოლოო ნაშთი	-	516,007,908	269,668,509	785,676,417



გეგმიური დებარებების უფროსი

სამხალალო აღრიცხვის სამსახურის უფროსი

ტყეშელაშვილი

თარიღი:

წმინდა გეგმიური

ვალდებულებების

05.05.2021

ԵՄԵԿԱ ԿԸՆԾԵԾԱՄԱՐԶԵՐԱՆ

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს უფროსი

05.05.2021

05.05.2021

მინუს გუგუნიძე

სალომეა ჯორჯიძე

ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნები

შენიშვნა N1 სააღრიცხვო პოლიტიკები

- ა) ანგარიშგებელი ერთეული - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- ბ) ფინანსური ანგარიშგებების მასშტაბი (არეალი, დაფარვა), მომზადების საფუძველი, კომბინაციის საფუძველი
- გ) ის კანონები და რეგულაციები, რომელთა შესაბამისობაშიც ანგარიშგებები მომზადდა, ის სტანდარტები, რომლებიც დაცულია და გადახრები სტანდარტებიდან (მიუთითეთ ინსტრუქციები, ჩამოთვალეთ ძირეული გადახრები სტანდარტებიდან, მაგ. კაპიტალის მეთოდის გამოყენება სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის მიზნებისათვის, დასაქმების შემდგომი პერიოდის სარგებლებთან დაკავშირებული გრძელვადიანი ვალდებულებების არაღიარება, და ა.შ.)
- დ) ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკების აღწერილობა
- ე) სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილებები ბოლო ფინანსური ანგარიშგებების მომზადების თარიღიდან მოყოლებული, რომლებიც აისახა რესტროსპექტულ კორექტირებებში
- ვ) ფუნდამენტური შეცდომების აღწერილობა, რომლებიც გასწორდა რეტროსპექტული კორექტირებების შედეგად

შენიშვნა N2 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

სტრუქტურული ერთეული		საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
020	ნაშთები ეროვნულ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები	-	-
030	ხაზინის ერთიანი ანგარიში, მათ შორის	-	-
040	სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები	-	-
050	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების სახსრები	-	-
060	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები	-	-
070	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის სსიპ-ები და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირები	-	-
080	დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	-	-
090	ბანკნოტები და მონეტები ლარში	-	-
100	სხვა ანგარიშები ხაზინაში	-	-
110	სალაროში და კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშები*	157,019,443	148,612,275
120	საბანკო ანგარიშები უცხოურ ვალუტაში, ბანკნოტები და მონეტები, მათ შორის	-	-
130	ხაზინის საგალობლო ანგარიში	-	-
140	დეპოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	-	-
150	უცხოურ ვალუტაში სხვა საბანკო ანგარიშები	-	-
160	ბანკნოტები და მონეტები უცხოურ ვალუტაში	-	-
170	3 თვემდე ვადიანი დეპოზიტები ლარში	-	-
180	სახელმწიფო ხაზინის მიერ დეპოზიტებზე (ანაბრებზე) განთავსებული ფულადი სა	-	-
190	ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
200	ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებისა და არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების მიერ განთავსებული ფულადი სახსრები	-	-
210	სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	157,019,443.00	148,612,275.00

*ანგარიშგებაში ფულად სახსრებად ასახული თანხები

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები (დუბიტორები)

სააღრიცხვო პოლიტიკები:

- ა) მიმდინარე ინვესტიციები ითვლება [...] თარიღის მდგომარეობით
ბ)

სტრუქტურის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
		მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება	მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
010	მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-	-
020	1 წლამდე ვადიანი პრემიები და სესხები	-	-	-	-	-	-
030	1 წელზე მეტ ვადიანი პრემიებისა და სესხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-	-	-	-
040	ფინანსური იჯაროდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი	-	-	-	-	-	-
050	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-	-	-	-	-	-
060	სხვა მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-	-

სტრუქტურის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
		მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება	მთლიანი ნაშთი	გაუფასურება	საბალანსო ღირებულება
010	მიმდინარე დეპიტორული დავალიანება (დუბიტორები)	15,600,754.00	-	15,600,754.00	12,553,744.00	-	12,553,744.00
020	საბანკო იპოვებულებიდან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დეპიტორული დავალიანებები (მათ შორის მიზნობრივი გრანტისა და სადამსახურო ნაშთები)	7,149,193	-	7,149,193	4,226,304	-	4,226,304
030	გადასაღებებიდან მისაღები თანხები	4,871,831	-	4,871,831	4,652,537	-	4,652,537
040	საშემოსავლო გადასახადი	60,040	-	60,040	54,191	-	54,191
050	მოგების გადასახადი	831	-	831	127,417	-	127,417
060	ქონების გადასახადი	1,029,528	-	1,029,528	1,987,128	-	1,987,128
070	დღგ	3,779,848	-	3,779,848	2,464,235	-	2,464,235
080	სააქციო გადასახადი	-	-	-	-	-	-
090	იმპორტის გადასახადი	-	-	-	-	-	-
100	სხვა გადასახადები	1,584	-	1,584	19,566	-	19,566
110	მოკლევადიანი (მიმდინარე) დეპიტორული დავალიანებები საკემსიო სტრუქტურაში	57	-	57	490	-	490
120	მოკლევადიანი (მიმდინარე) დეპიტორული დავალიანებები დარეგულირებული პროცენტებით (მშ. ხარისხი)	1,922,765	-	1,922,765	2,332,268	-	2,332,268
130	მისაღები დივიდენდები	3,456	-	3,456	-	-	-
140	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დეპიტორული დავალიანებები	487,378	-	487,378	389,867	-	389,867
150	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშგადახდები კირბის მიმართ	169,134	-	169,134	109,119	-	109,119
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასაღები (გაყიდვით)	-	-	-	-	-	-
170	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები	996,940	-	996,940	843,159	-	843,159

შენიშვნა N4 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

სტრიქონი ს კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	წინასწარი გადახდები	22,027,332	19,018,695
020	წინასწარი გადახდები საქონლისა და მომსახურებისათვის	7,662,936	4,470,938
030	წინასწარი გადახდები არაფინანსური აქტივებისათვის	14,339,064	14,547,404
040	წინასწარ გადახდილი სხვა ხარჯები	25,332	353
050	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით	-	-
060	ხარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები	-	-
070	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით	-	-
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით	2,152,983	341,196
090	სულ	24,180,315	19,359,891

შენიშვნა N5 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

- ა) გრძელვადიანი კრედიტებისა და სესხების შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ხდება.
- ბ) წილობრივ ინსტრუმენტებში ანგეისტიციები თვითღირებულებითი ფასდება, თუ ანგეისტიციები კონსტრუირდება ერთეულებში, დავებირებულ თუ ერთობლივ საწარმოში არ ხორციელდება, როცა მათი შეფასება კაპიტალის მეთოდის გამოყენებით ხდება.
- გ) ფინანსური იჯაროდან მისაღები გრძელვადიანი დებიტორული დავალიანების აღიარება იჯარით გაცემული ქონების რეალურ (სამართლიან) ღირებულებასა და იჯარის ხელშეკრულების დაწყებისას გამსაზღვრელი იჯარის მინიმალური შენატანების ამჟამინდელ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით ხდება.

სტრუქტურული ს. კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი		საანგარიშგებო წლის წინა წელი	
		მილიანი ნაშთი	გაუფასურება	კაპიტალის ღირებულება	მთლიანი ნაშთი
010	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	825,000	-	825,000	825,000
020	კრედიტები და სესხები (საბილეთო დავალიანების თარიღამდე დამატებული ერთ წელზე მეტი)	-	-	-	-
030	ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში	825,000	-	825,000	825,000
040	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	-	-	-	-

სტრუქტურული ს. კოდი	მუხლები	სულ	კრედიტები და სესხები (დაფარვის თარიღამდე დარჩენილია ერთ წელზე მეტი)	კაპიტალის ინვესტიციები	გრძელვადიანი მთხოვნები ფინანსური იჯარიდან
010	მილიანი ნაშთი	-	-	-	-
020	საწყისი ნაშთი	-	-	-	-
030	გამოიწვევა	-	-	-	-
040	რეკლამის ფიქსირებული მიმდინარე (მიკლავადიან) ფინანსურ აქტივებად	-	-	-	-
050	გამოიწვევა	-	-	-	-
060	საბილეთო ნაშთი	-	-	-	-
070	გაუფასურება	-	-	-	-
080	საწყისი ნაშთი	-	-	-	-
090	გამოიწვევა	-	-	-	-
100	რეკლამის ფიქსირებული მიმდინარე (მიკლავადიან) ფინანსურ აქტივებად	-	-	-	-
110	გამოიწვევა	-	-	-	-
120	საბილეთო ნაშთი	-	-	-	-
130	წმინდა ნაშთი	-	-	-	-
140	საწყისი ნაშთი	-	-	-	-
150	საბილეთო ნაშთი	-	-	-	-

სტრუქტურული ს. კოდი	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	გრძელვადიანი დებიტორული დავალიანება ფინანსური იჯარიდან	-
020	საბილეთო მილიანი ინვესტიციები ფინანსურ იჯარაში	-
030	ფინანსური იჯარის მიზნად აღებული შენატანების ამჟამინდელი ღირებულება	-
040	გამოიწვევა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	-

შენიშვნა N7 საინვესტიციო ქონება

სააღრიცხვო პოლიტიკები:

- ა) საინვესტიციო კონცეპტის შეფასება თეორიულულების მიხედვით გამოყენებით ხდება.
- ბ) საინვესტიციო კონცეპტის შეფას. ცვაობის დარღვევის წრეები შეიძლება გამოყენებით ხდება.
- გ) ინვესტიციის თითოეული კლასის სასარგებლო მომსახურების ვადები და წარმოქმნილულება ფინანსთა სამინისტროს განიხილება ... შეესაბამება განიხილდება.

სტრუქტურის კოდი	საინვესტიციო ქონების თვითღირებულება	საანგარიშგები წელი				საანგარიშგები წლის შიშა წელი			
		თვითღირებულება	დამატებითი ცენზი	დამატებითი გაუფასურებელი	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	დამატებითი ცენზი	დამატებითი გაუფასურებელი	საბალანსო ღირებულება
010	შენიშვნა: ნაგებობები								
020	საცხოვრებელი დანიშნულების შენობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად								
030	არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად								
040	სხვა ნაგებობები, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად								
050	მძირის გაუმჯობესება, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად								
060	მიწა, კლასიფიცირებული საინვესტიციო ქონებად								
070	სულ								

[illegible][illegible]

შენიშვნა N9 შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებები

შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებების აქტივების აღიარება ხდება მთავრობის აქტივების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ ამ აქტივების შენება ეტაპობრივად მიმდინარეობს, მთავრობა მათ აღიარებს დაუმთავრებელი წარმოების სახით თვითღირებულებით აზღვნს. ამავე დროს ასევე ხდება იგივე ღირებულების ფინანსური ვალდებულების აღიარებაც, როცა აქტივების მშენებლობას სრულდება, მათი მთლიანი თვითღირებულება და საპირფონო ფინანსური ვალდებულება ასახავენ იმ სამომავლო ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც აქტივების სანაცვლოდ კერძო სექტორიდან წარმოდგენილ პარტნიორს უნდა გადაეცეს.

სააღრიცხვო პოლიტიკები:

- ა) შეღავათიანი მომსახურების აქტივები თავდაპირველად რეალური (სამართლიანი) ღირებულებით ფასდება.
ბ) თავდაპირველი აღიარების შემდეგ, შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღრიცხვა სსბასს 17 და სსბასს 31-ის შესაბამისად ხდება.
გ) შეღავათიანი მომსახურების ვალდებულებების აღიარება შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღიარების დროს ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს აქტივი მთავრობის უკვე არსებული აქტივია.
დ) ვალდებულების აღიარება თავდაპირველად იმავე თანხით ხდება, რითაც შეღავათიანი მომსახურების აქტივის აღიარება.
ე) ხელშეკრულებით ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პოლიტიკა:

ხელშეკრულების #1 აღწერილობა	ფინანსური ვალდებულების მთავარი
-----------------------------	--------------------------------

სტრუქტურის კოდი	შეღავათიანი მომსახურების აქტივების აღწერილობა	თვითღირებულება	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი		
			აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია	დაგროვილი გაუფასურების ზარალი	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია	დაგროვილი გაუფასურების ზარალი
010								
020								
030								
040								
050								
060								
070								
080	სულ							

საანგარიშგებო წელი

სტრუქტურის კოდი	შეღავათიანი მომსახურების აქტივების საბალანსო ღირებულების ცვლილებები	სულ	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება					
			ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება	
			მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი
010	საწყისი ნაშთი							
020	მიღებები (შეძენები, დამატებები)							
030	აქტივების სხვა კლასების რეკლასიფიკაცია							
040	აქტივის გაუზღობესება (განაზღვრება)							
050	გასვლა (განკარგვა)							
060	აქტივების სხვა კლასებზე რეკლასიფიკაცია							
070	სხვა შემცირება*							
080	საბოლოო ნაშთი							

საანგარიშგებო წელი

სტრუქტურის კოდი	აკუმულირებული ცვეთა/ამორტიზაცია	სულ	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება					
			ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება	
			მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი
010	საწყისი ნაშთი							
020	წლის ხარჯი (ანარიცხები) (უკუგატარება) **							
030	გასვლისას ელიმინირებული							
040	აქტივების სხვა კლასებზე ტრანსფერისას ელიმინირებული							
050	საბოლოო ნაშთი							

დაგროვილი გაუფასურების ზარალი

საანგარიშგებო წელი

სტრუქტურის კოდი	შეღავათიანი მომსახურების აქტივების დაგროვილი გაუფასურების ზარალი	სულ	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება					
			ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება		ხელშეკრულების დასაბელება	
			მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი	მთავრობის არსებული აქტივი	კერძო სექტორის პარტნიორის მიერ უზრუნველყოფილი
010	საწყისი ნაშთი							
020	წლის ხარჯი (ანარიცხები) (უკუგატარება) **							
030	გასვლისას ელიმინირებული							
040	აქტივების სხვა კლასებზე ტრანსფერისას ელიმინირებული							
050	საბოლოო ნაშთი							

** ** განმარტეთ გაუფასურების ზარალის ან გაუფასურების ზარალის უკუგატარების მიზეზები

სტრუქტურის კოდი	მიმდინარე ვალდებულებები (რომელიც შედის მოკლევადიან ნასესხებ თანხებში)	საწყისი ნაშთი	შემცირება				საბოლოო ნაშთი
			ძირითადი თანხის გადახდა	დაფინანსების ხარჯი	მომსახურების ხარჯი	სულ	
010	შეღავათიანი მომსახურების ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი						
020	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება 1						
030	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება 2						
040	გრძელვადიანი ვალდებულებები						
050	შეღავათიანი მომსახურების გრძელვადიანი ვალდებულებები						
060	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება 1						
070	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულება 2						

შენიშვნა N10 ფინანსური იჯარით აქტივები და ვალდებულებები

სააღრიცხვი პოლიტიკები:

ა) ფინანსური იჯარით მიღებული არაფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და აღირიცხება, როგორც ძირითადი აქტივები, არამატერიალური აქტივები და საინვესტიციო ქონება

სტრიქონის კოდი	ფინანსური იჯარით აქტივები	საანგარიშგებო წელი				საანგარიშგებო წლის შინა წელი			
		თვითღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	დაგროვილი გაუფასურების ხანაოთი	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	დაგროვილი გაუფასურების ხანაოთი	საბალანსო ღირებულება
010									
020									
030									
040									
050									
060									
070									
080	სულ								

საანგარიშგებო წელი

სტრიქონის	ვალდებულებები ფინანსური იჯარით	საწყისი ნაშთი	ზრდა	კლება	საბოლოო ნაშთი
020	მიმდინარე ვალდებულებები				
030	გრძელვადიან ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხების მიმდინარე ნაწილი				
040	გრძელვადიანი ვალდებულებები				
050	გრძელვადიან პერიოდში ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები				

შენიშვნა N 11 სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

სტრუქტურის კოდი	დასახელება	საანგარიშგებო წელი				საანგარიშგებო წლის წინა წელი			
		თვითღირებულება	დაგროვილი გაუფასურების ზარალი	საბალანსო ღირებულება	თვითღირებულება	დაგროვილი გაუფასურების ზარალი	თვითღირებულება	დაგროვილი გაუფასურების ზარალი	საბალანსო ღირებულება
010	ფასეულობები	3,875	-	3,875	2,923	-	2,923	-	2,923
020	მატერიალური არაწარმოებული აქტივები, გარდა მიწისა	-	-	-	-	-	-	-	-
030	არამატერიალური არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-
040	მეცვდიდრეობითი აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-
050	დაუმთავრებელი აქტივები	118,949,491	-	118,949,491	139,380,702	-	139,380,702	-	139,380,702
060	დაუმთავრებელი მშენებლობა	118,949,491	-	118,949,491	138,697,501	-	138,697,501	-	138,697,501
070	აქტივები, რომელთა საკუთრების უფლება ჯერ არ არის მოპოვებული ან სხვა ერთეულებზე გადასაცემად მიღებული	-	-	-	-	-	-	-	-
080	საოპერაციო, იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	-	-	-	683,201	-	683,201	-	683,201
090	სულ	118,953,366	-	118,953,366	139,383,625	-	139,383,625	-	139,383,625

შენიშვნა N13 კრედიტორული დავალიანება, ანარიცხები და სხვა ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

საანგარიშგებო წელი

N13ა

სტრიქონის კოდი	კრედიტორული დავალიანება	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება		
020	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	-	200
030	საგადასახადო კრედიტორული დავალიანება	92,855	1,041,730
040	თანამშრომლებთან და სტიპენდიებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	780,741	812,118
050	საქონლისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	16,635,908	2,002,631
060	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მიწოდებასთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება	2,987,165	3,581,438
070	გადასახდელი პროცენტი	-	-
080	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანება	996,845	792,450
090	სულ მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	21,493,514	8,230,567
100	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებები	115,539	129,596
110	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	301	5,868,109

N13ბ

სტრიქონის კოდი	მოკლევადიანი ანარიცხები		
010	საანგარიშგებო წელი		
020		ანარიცხი 1*(შინაარსი)	ანარიცხი 2*
030	საწყისი ნაშთი	-	-
040	ანარიცხების ზრდა	-	-
050	ანარიცხების კლება	-	-
060	წინა ანარიცხების უკუგატარება	-	-
070	საბოლოო ნაშთი	-	-
080	*ზაწერეთ ანარიცხის მიზანი, მაგ. სამართალწარმოების ხარჯების ანარიცხები, რესტრუქტურუზაციის ანარიცხები და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სვეტები.		
090	ვალდებულების ტიპის აღწერილობა და შესაბამისი ფულადი გადინებების მოსალოდნელი ვადები.		
100	გრძელვადიანი ანარიცხები		
	საანგარიშგებო წელი		
110		ანარიცხი 1*	ანარიცხი 2*
120	საწყისი ნაშთი	-	-
130	დამატებითი ანარიცხები	-	-
140	გამოყენებული ანარიცხები	-	-
150	წინა ანარიცხების უკუგატარება	-	-
160	საბოლოო ნაშთი	-	-

*ზაწერეთ ანარიცხის მიზანი, მაგ. სამართალწარმოების ხარჯების ანარიცხები, რესტრუქტურუზაციის ანარიცხები და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სვეტები.

N13გ

სტრიქონის კოდი	სხვა ვალდებულებები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	ვალდებულებები დემოზიტებით	149,401,034	142,901,564
020	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	-	-
030	სულ ვალდებულებები	149,401,034	142,901,564

შენიშვნა N14 შემოსავლები გადასახადებიდან, გრანტებიდან და სხვა

საადრევე პოლიტიკები:

1) საგადასახადო შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

2)

N14a

საგადასახადო შემოსავლები

სტრუქტურული კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი	-	-
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი	-	-
030	ქონების გადასახადი	-	-
040	დღგ	-	-
050	აქციზი	-	-
060	საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები	-	-
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები	-	-
080	სულ	-	-

N14 ბ შემოსავლები გრანტებით

სტრუქტურული კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი		საანგარიშგებო წლის წინა წელი	
		მიმდინარე	კაპიტალური	მიმდინარე	კაპიტალური
010	ფულადი ფორმით	(414,415)	-	8,834,628	7,736,434
020	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული	-	-	-	-
030	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული	(414,415)	-	(900,418)	-
040	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	-	-	9,735,046	7,736,434
050	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	-	-	9,735,046	7,736,434
060	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	-	-	-	-
070	სასაქონლო ფორმით	1,105,710	699,521	423,883	5,678,992
080	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული	-	-	-	-
090	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული	44,095	435,078	-	-
100	სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	1,061,615	264,443	423,883	5,678,992
110	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	1,050,394	183,269	423,883	5,672,614
120	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისაგან მიღებული	11,221	81,174	-	6,378
130	სულ	691,295	699,521	9,258,511	13,415,426

N14 გ სხვა ოპერაციებიდან შემოსავლები

სტრუქტურული კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	76,919	-	76,919	924,294
020	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	437,733	56,126	493,859	3,417,411
030	შემოსავლები მიმდინარე გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	52,442	56,126	108,568	3,417,411
040	შემოსავლები კაპიტალური გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	385,291	-	385,291	-
050	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	238,813,273	26,344	238,839,617	216,832,888
060	შემოსავლები შიდა მიმდინარე ტრანსფერებით	207,649,442	26,344	207,675,786	180,614,778
070	შემოსავლები შიდა კაპიტალური ტრანსფერებით	31,163,831	-	31,163,831	36,218,110
080	სულ	239,327,925	82,470	239,410,395	221,174,593

შენიშვნა N15 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

სააღრიცხვო პოლიტიკები:

1)

შენიშვნა N15ა შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული მოგება/(ზარალი)ს)

სტრუქტურის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	შემოსავლები საკუთრებიდან	-	14,758,103	14,758,103	12,563,934
020	საპროცენტო შემოსავლები	-	14,758,103	14,758,103	12,563,934
030	დივიდენდებიდან შემოსავლები	-	-	-	-
040	რენტებიდან შემოსავლები	-	-	-	-
050	საქონლისა და მომსახურების გაყიდვები	538,569	57,929,894	58,468,463	131,846,752
060	საქონლის გაყიდვები	-	17,152	17,152	4,781
070	მომსახურების გაწევა	538,569	57,912,742	58,451,311	131,841,971
080	სხვა	58,830	-	58,830	164,795
090	სულ	597,399	72,687,997	73,285,396	144,575,481

შენიშვნა N15ბ გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან მიღებული მოგება/(ზარალი)

სტრუქტურის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
010	გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალი)*	-	-	-	-
020	მირითადი აქტივების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალი)	-	-	-	-
030	არამატერიალური აქტივების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალი)	-	-	-	-
040	სხვა გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული მოგება/(ზარალი)	-	-	-	-
050	სულ	-	-	-	-

*გრძელვადიანი აქტივების გასვლით მოგება მიიღება მაშინ, როცა გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული შემოსავალი აღემატება გრძელვადიანი აქტივების გასვლის ხარჯებს.
გრძელვადიანი აქტივების გასვლით მიღებული ზარალი შედის სხვა ხარჯებში.

*გრძელვადიანი აქტივების გასვლით ზარალი მიიღება მაშინ, როცა გრძელვადიანი აქტივების გასვლის ღირებულება აღემატება გრძელვადიანი აქტივების მიღებულ შემოსავალს.

შენიშვნა N16 სხვა შემოსავლები

სააღრიცხვო პოლიტიკები:

1)

სტრიქონის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილი მოგება	235,351	339,152
020	ფლობის შედეგად გაწეული სხვა მოგება	43,965,536	23,447,870
030	დებიტორული დავალიანების შემცირების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
040	მატერიალური მარაგების შემცირების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
050	ძირითადი აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
060	საინვესტიციო ქონების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
070	არამატერიალური აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
080	შეღავათიანი მომსახურების აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
090	ფინანსური იჯარის აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
100	სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების უკუგატარების შედეგად მიღებული მოგება	-	-
110	სულ	44,200,887	23,787,022

შენიშვნა N17 დარიცხული ხარჯები

საადრიცხო პოლიტიკები:

1)

N17 ა

სტრიქონი ს კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი			საანგარიშგებო წლის წინა წელი
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
010	შრომის ანაზღაურების ხარჯები	70,212,915	39,408,787	109,621,702	115,049,626
020	საქონლისა და მომსახურების ხარჯები	121,982,327	47,142,611	169,124,938	174,365,566
030	მ.შ იჯარის ხარჯები	-	173,813	173,813	-
040	ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	19,052,796	8,354,349	27,407,145	27,598,841
050	ცვეთის ხარჯი	17,336,959	6,300,161	23,637,120	23,526,853
060	ამორტიზაციის ხარჯი	1,715,837	2,054,188	3,770,025	4,071,988
070	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	769,780	-	769,780	1,682,000
080	შიდა კაპიტალური ტრანსფერებით ხარჯები	13,063	-	13,063	-
090	შიდა მიმდინარე ტრანსფერებით ხარჯები	756,717	-	756,717	1,682,000
100	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	1,663,244	2,116,153	3,779,397	5,117,346
110	სხვა ხარჯები	4,712,719	2,596,995	7,309,714	10,817,510
120	მათ შორის:	-	-	-	-
130	საპროცენტო ხარჯები	-	-	-	-
140	ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,712,719	1,873,427	6,586,146	10,817,510
150	მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,694,719	1,873,427	6,568,146	7,173,931
160	კაპიტალური ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	18,000	-	18,000	3,643,579
170	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები	-	-	-	-
180	სულ	218,393,781	99,618,895	318,012,676	334,630,889

N17 ბ

სტრიქონი ს კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი		საანგარიშგებო წლის წინა წელი	
		მიმდინარე	კაპიტალური	მიმდინარე	კაპიტალური
010	გრანტები ფულადი ფორმით	295,428	10,202	26,107,494	7,212,987
020	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული	-	-	-	-
030	საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული	295,428	10,202	222,338	-
040	სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	-	-	25,885,156	7,212,987
050	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	-	-	25,707,656	7,212,987
060	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	-	-	177,500	-
070	გრანტები სასაქონლო ფორმით	112,229	4,475,603	304,364	8,034,031
080	უცხო სახელმწიფოთა მთავრობებზე გაცემული	-	161,280	-	-
090	საერთაშორისო ორგანიზაციებზე გაცემული	-	-	-	-
100	სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	112,229	4,314,323	304,364	8,034,031
110	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	112,229	3,454,379	304,364	8,024,349
120	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებზე გაცემული	-	859,944	-	9,682
130	სულ	407,657	4,485,805	26,411,858	15,247,018

N17 გ

სტრიქონი ს კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	სუბსიდიები საჯარო კორპორაციებს	68,000	-
020	არაფინანსურ საჯარო კორპორაციებს	68,000	-
030	ფინანსურ საჯარო კორპორაციებს	-	-
040	კერძო საწარმოებს	3,345	-
050	არაფინანსურ კერძო საწარმოებს	3,345	-
060	ფინანსურ კერძო საწარმოებს	-	-
070	სხვა სექტორებს	-	-
080	სულ	71,345	-

შენიშვნა N18 სხვადასხვა ხარჯები

საადრიცხო პოლიტიკები:

1)

სტრიქონის კოდი	მუხლები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილებით ფლობიდან წარმოქმნილი ზარალი	1,363,339	1,120,263
020	ფლობის შედეგად გაწეული სხვა ზარალი	6,021,587	9,398,083
030	საქვო/უიმედო დებიტორული დაგალიანებების და წინასწარი გადახდების ხარჯები	164,824	5,744,978
040	მატერიალური მარაგების შემცირების ხარჯი	-	-
050	ძირითადი აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	-
060	საინვესტიციო ქონების გაუფასურების ხარჯი	-	-
070	არამატერიალური აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	-
080	შეღავათიანი მომსახურების აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	-
090	ფინანსური იჯარის აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	-
100	სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	-	-
110	სულ	7,549,750	16,263,324

შენიშვნა N19 ფულადი ნაკადები გადასახადებიდან

სტრიქონი ს კოდი	გადასახადების ტიპები	საანგარიშგებო წელი	საანგარიშგებო წლის წინა წელი
010	ფიზიკური პირებისგან საშემოსავლო გადასახადი		
020	კორპორაციებიდან და სხვა საწარმოებიდან მოგების გადასახადი		
030	ქონების გადასახადი		
040	დღგ		
050	აქციზი		
060	საბაჟო და იმპორტის მოსაკრებლები		
070	სხვა საგადასახადო შემოსავლები		
080	სულ		

შენიშვნა N20 საოპერაციო საქმიანობებიდან წმინდა ფულადი ნაკადების შექურება (შედარება) ნამეტთან/(დეფიციტთან) *

სტრუქტურის კოდები	დასახელება	საანგარიშებო წელი		სულ
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	
010	ნამუბი/(დეფიციტი)	x	x	x
020	არაფულადი მოძრაობები (კონტრქიტირებები)			
030	დარიცხული პროცენტი (წმინდა)	x	x	x
040	ძირითადი აქტივების ცვლია	x	x	x
050	არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	x	x	x
060	აქტივების დაგროვილი გაუფასურების ზარალის ზრდა	x	x	x
070	კრედიტორული დავალიანების ზრდა (შემცირება)	x	x	x
080	ანარიცხების ზრდა (შემცირება)	x	x	x
090	გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან მიღებული (მოკლვა)/ზარალი	(x)	(x)	(x)
100	ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	(x)	(x)	(x)
110	დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	(x)	(x)	(x)
120	სხვა მიმდინარე აქტივების შემცირება (ზრდა)	(x)	(x)	(x)
130	სხვა არაფულადი იმპერაციებით შემცირება (ზრდა)	(x)	(x)	(x)
140	გადახდილი პროცენტი	(x)	(x)	(x)
150	მიღებული პროცენტი და დივიდენდი	x	x	x
160	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან	xx	xx	xx

* ივსება საბაზიზო სამსახურის მიერ

საანგარიშებო წლის წინა წელი			
საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
x	x		x
x	x		x
x	x		x
x	x		x
x	x		x
x	x		x
x	x		x
x	x		x
(x)	(x)		(x)
(x)	(x)		(x)
(x)	(x)		(x)
(x)	(x)		(x)
(x)	(x)		(x)
x	x		x
xx	xx		xx

შენიშვნა 21 ფაქტობრივი თანხებისა და საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობებიდან წმინდა ფულადი ნაკადების შეჯერება (შედარება)

სტრიქონის კოდი	ბიუჯეტის შესრულების ანგარიში		ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი			სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთისა და წმინდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ზრდის (შემცირების) შედეგად (შეთანხმება)
	შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)	ბიუჯეტის შესრულება	ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	
010	სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები					
020	გადასახადები	XX	XX			
030	გრანტები	XX	XX			
040	სხვა შემოსავლები	XX	XX			
050	არაფინანსური აქტივების შემცირება	XX		XX		
060	ფინანსური აქტივების შემცირება	XX		XX		
070	ვალდებულებების ზრდა	XX			XX	
080	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)	XX				
090	გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები)					
100	შრომის ანაზღაურება	(XX)	(XX)			
110	საქონელი და მომსახურება	(XX)	(XX)			
120	პროცენტი	(XX)	(XX)			
130	სუბსიდიები	(XX)	(XX)			
140	გრანტები	(XX)	(XX)			
150	სოციალური დახმარება	(XX)	(XX)			
160	სხვა ხარჯები	(XX)	(XX)			
170	არაფინანსური აქტივების ზრდა	(XX)		(XX)		
180	ფინანსური აქტივების ზრდა	(XX)		(XX)*		
190	ვალდებულებების (ვალის) შემცირება	(XX)			(XX)	
200	სულ გაცემული თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	(XX)				
210	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი*	XXX				XXX
220	ნაღდი ფულის ეკვივალენტები					XX
230	სახელმწიფო ბიუჯეტისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მთლიანი ნაშთი					XXX
240	წმინდა ფულადი ნაკადები საქმიანობის მიხედვით		XXX	XXX	XXX	
250	ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება) *			XXX		XXX

* ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების ჯამი ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდის (შემცირების) ტოლია.
* *ფინანსური აქტივების ზრდას გამოკლებული ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ბიუჯეტის ფაქტობრივი საოპერაციო ნაშთისა და საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შეჯერება (შედარება)

ბიუჯეტის საერთო (მთლიანი) ნაშთი	XXX
არაფინანსური აქტივების ზრდა/(შემცირება)	XXX
ბიუჯეტის საოპერაციო ნაშთი	XXX
განსხვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით	XXX
განსხვავებები დროითი პერიოდის მიხედვით	XXX
განსხვავებები ერთეულების მიხედვით	XXX
განსხვავებები კლასიფიკაციის მიხედვით	XXX
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	XXX

სტრიქონის კოდი	ფაქტობრივი თანხა შესადარის საფუძველზე ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების მიხედვით	საოპერაციო საქმიანობა	საინვესტიციო საქმიანობა	ფინანსური საქმიანობა
010	განსხვავებები საფუძვლების (მეთოდების) მიხედვით			
020	განსხვავებები დროითი პერიოდის მიხედვით			
030	განსხვავებები ერთეულების მიხედვით			
040	განსხვავებები კლასიფიკაციის მიხედვით			
050	ფაქტობრივი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში			

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) განმარტებითი ბარათი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი საბალანსო ერთეულების ანგარიშგებებისაგან:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

სპეციალური პენიტენციური სამსახური;

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“;

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“;

სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივი“;

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“;

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“;

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“;

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“;

სსიპ „იუსტიციის სახლი“;

სსიპ „დანაშაულის პრევენციის , არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“;

სსიპ „მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი“.

2020 წელს განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ინფორმაციის სახით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2020 წელს მოხდა გარკვეული ცვლილებები სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების კუთხით. კერძოდ:

- 1) 2020 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის უფლებამოსილებები გადაეცა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის

ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ჩაითვალა მათ უფლებამონაცვლედ („არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2019 წლის 29 ნოემბრის № 5390-III კანონი), საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდა სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის შერწყმა.

2020 წლის 1-ლი იანვრისთვის გაერთიანდა ორივე სსიპ-ის საბალანსე ანგარიშები და ანგარიშგების საწყისი ნაშთები წარმოადგენს ორივე სსიპ-ის ნაერთ თანხებს.

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი წარმოადგენდა ნაერთ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ა(ა)იპ შეცვალე სცენართან ერთად. 2020 წლის პერიოდში მიმდინარეობს ა(ა)იპ შეცვალე სცენარის სალიკვიდაციო ღონისძიებები. საწარმო 2019 წლიდან არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, არ განხორციელებულა არცერთი საბანკო და სახაზინო ოპერაცია. ყველა ნაშთი უცვლელი ფორმითაა აღრიცხული და შეესაბამება 2019 წლის წლიური ანგარიშგებით წარმოდგენილ ნაშთებს.

- 2) 2020 წლის 1-ლი იანვრიდან სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი განისაზღვრა „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 19 აპრილის №50 ბრძანებით შექმნილი სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის უფლებამონაცვლედ, აგრეთვე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის უფლებამონაცვლედ პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების/გადამზადების ნაწილში“ (2019 წლის 23 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N635 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის N227 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).
- 3) 2020 წლის 1-ლი იანვრიდან სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი განისაზღვრა სსიპ პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრის უფლებამონაცვლედ ქონებისა და ფინანსების ნაწილში“ (2019 წლის 23 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N635 დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის N227 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე).
- 4) 2020 წლის 10 ივლისიდან სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს და სსიპ სმართ ლოჯიკის (SMART LOGIC) შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა და მათ უფლებამონაცვლედ განისაზღვრა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტო (2020 წლის 12 ივნისის საქართველოს კანონი N6297-III საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ).

ანგარიშგების მომზადების საფუძველი:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად.

ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციით შემუშავებული ანგარიშთა გეგმის გამოყენებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა:

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 დეკემბრის N642 ბრძანებით დამტკიცდა იუსტიციის სამინისტროს სისტემისათვის ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც აყალიბებს სისტემის ზოგად პრინციპებს და მიდგომებს. ხოლო, მის საფუძველზე სამინისტროს საბალანსე ერთეულებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, იგეგმება შიდა პოლიტიკის დამტკიცება და დანერგვა.

შემოსავლის აღიარება:

შემოსავლის აღიარება სამინისტროს ზოგიერთი საბალანსე ერთეულის მიერ, გაწეული მომსახურების ნაწილში ხდება საკასო მეთოდით (რადგან ამ ეტაპზე არ არის დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, გაწეული მომსახურების ფარგლებში მიღებული შემოსავალი აღრიცხონ დარიცხვის მეთოდით), ხოლო, სხვა დანარჩენ ნაწილში შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

ხარჯის აღიარება:

ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბას-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციით და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა.

საწყისი ნაშთების ცვლილება:

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოხდა საწყისი ნაშთების ცვლილება, რაც განმარტებულია შესაბამისი შენიშვნების ნაწილში საბალანსე ერთეულის, გამომწვევი მიზეზის დაკონკრეტებით. საწყისი ნაშთების ცვლილებით გამოწვეული ჯამური შედეგი:

- მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები გაზრდილია $304 + 16\,366 = 16\,670$ ლარით;
- ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი გაზრდილია $217\,000 - 46\,849 + 1\,683 = 171\,834$ ლარით;
- კრედიტორული დავალიანება გაზრდილია $223\,874$ ლარით;
- სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები გაზრდილია $68\,255$ ლარით;
- ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი შემცირებულია $16\,670 + 171\,834 - 223\,874 - 68\,255 = 103\,625$ ლარით

2020 წელს აღნიშნული თანხებიდან 304 ლარის გარდა ყველა ცვლილება (103 929 ლარის ოდენობით) ფორმა N4-ში („წმინდა აქტივებისა და კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“) ასახულია რეტროსპექტულად, არსებითი შეცდომების კორექტირებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით).

ანგარიშგების შენიშვნებში ასახული ინფორმაცია:

შენიშვნა N2:

- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ცხრილში სტრიქონი „110“ – „სალაროში და კომერციულ ბანკებში გახსნილი ანგარიშები“ მოიცავს კომერციულ ბანკებში განთავსებულ თანხებს.
- 1-11-2400 ანგარიშზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშები კომერციულ ბანკებში“ (ძველი ანგ 1211, „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“) საწყისი ნაშთი 1 905 570 ლარით ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან შედარებით. ეს სხვაობა გამოწვეულია სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ საწყისი ნაშთის სხვაობით. 2019 წელს აღნიშნული თანხა სახაზინო სამსახურის მიერ, ნაცვლად გაწეული მომსახურებიდან მიღებული საკასო შემოსავლისა, აღრიცხული იყო კომერციულ ბანკში არსებული ნაშთის სახით (2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით სახაზინო სამსახურისგან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით). აღნიშნული სხვაობა 2020 წლის იანვრის თვეში დაკორექტირდა სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ 2020 წლის 20 იანვრის №2/4342 წერილის საფუძველზე.

შენიშვნა N2ა:

- მიმდინარე დებიტორული დავალიანების ცხრილში სტრიქონი „020“ - სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები (მათ შორის მიზნობრივი გრანტისა და სადეპოზიტო ნაშთები) - მოიცავს:
 - ა) საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ;
 - ბ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიან (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებებს ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში;
 - გ) ხაზინის სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში;
 - დ) დეპოზიტებს ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში/უცხოურ ვალუტაში.
- მიმდინარე დებიტორული დავალიანების ცხრილში სტრიქონი „120“ – „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით (მ.შ ჯარიმები)“ გარდა პროცენტებით დარიცხული დებიტორული დავალიანებებისა, მოიცავს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან მიღებულ შემოსავლებს.
- აღნიშნულ შენიშვნაში სტრიქონი „020“-ში – „სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები (მათ შორის მიზნობრივი გრანტისა და სადეპოზიტო ნაშთები)“ - ასახული საბოლოო ნაშთი 680 ლარით მეტია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2600 კოდის შესაბამისად შემოსულობების შესახებ მოწოდებულ მონაცემებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით. კერძოდ, აღნიშნული თანხა 2020 წლის ბოლოს რეალურად წარმოადგენს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ საბოლოო ნაშთს და აღნიშნული ხარვეზი გასწორდება სახაზინო სამსახურის მიერ 2021 წელს.
- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2600 კოდის შესაბამისად 2019 წლის მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიზნობრივი გრანტის საბოლოო ნაშთი განსხვავდება 2020 წლის მიზნობრივი გრანტების შესახებ მოწოდებული მონაცემებით სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის საწყისი

ნაშთისგან 16 366 ლარით (ანგარიში 1-13-1220 - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში“ (ძველი ანგარიში 1240- „მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის“). სხვაობას იწვევს 2018 წელს ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული მიზნობრივი გრანტის თანხა. აღნიშნული თანხა არ იქნა გამოყენებული სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ, რადგან მომწოდებელთან მოლაპარაკების ჩაშლის გამო ვერ მოხერხდა მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება და გრანტის შესრულება. 16 366 ლარი 2020 წლამდე ბუღალტრულად არ იყო ასახული, მანამ არც ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში იყო ასახული მიზნობრივ გრანტებში. 2020 წელს კი ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ასახულ იქნა აღნიშნული თანხა. 2020 წლის საწყისი ნაშთის ცვლილება განხორციელდა არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). ამავდროულად, იმავე თანხით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.

- ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2600 კოდის შესაბამისად 2019 წელს მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიზნობრივი გრანტის საბოლოო ნაშთი განსხვავდება 2020 წლის მიზნობრივი გრანტების შესახებ მოწოდებული მონაცემებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საწყისი ნაშთისგან 304 ლარით (ანგარიში 1-13-1220 - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში“ (ძველი ანგარიში 1240 - „მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის“). აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს 2019 წელს მიზნობრივ გრანტიდან გაწეული ხარჯის უკან დაბრუნებას, რაც მოგვიანებით იქნა ასახული ხაზინის მიერ. ამან კი გამოიწვია 2020 წლის საწყისი ნაშთის კორექტირება, გაზრდა. ამავდროულად, იმავე თანხით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.
- გარდა ამისა, ანგარიშზე 1-13-1220 - „საბიუჯეტო ორგანიზაციების მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ხაზინის მიმართ მიზნობრივი დაფინანსებით და გრანტებით ეროვნულ ვალუტაში“ (ძველი ანგარიში 1240-

„მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის“) არსებული საწყისი და საბოლოო ნაშთები 71.82 ლარით ნაკლებია ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2600 კოდის შესაბამისად მიზნობრივი გრანტების შესახებ მოწოდებულ მონაცემებთან შედარებით. აღნიშნული მიეკუთვნება იუსტიციის სამინისტროს აპარატს.

- მიზნობრივი გრანტის საწყის და საბოლოო ნაშთებში ასევე, ასახულია სპეციალური პენიტენციური სამსახურის კუთვნილი თანხა 47 ლარის ოდენობით (კოდი 2700 - აღნიშნულ კოდზე აღირიცხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიზნობრივი გრანტი, სანამ ის იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო ორგანიზაციად განისაზღვრებოდა).

შენიშვნა N3:

- ანგარიშგების მე-3 შენიშვნა მოიცავს სხვა მასალებსა და მარაგებს (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1400). აღნიშნული კი თავის მხრივ მოიცავს მცირეფასიან აქტივებსაც (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1410, ძველი ბუღალტრული ანგარიში 2200) და სხვა დანარჩენ მასალებსა და მარაგებს (ბუღალტრული ანგარიში 1-14-1420). მე-3 შენიშვნაში შეტანილი ინფორმაცია „ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში“ თავს იყრის მოკლევადიან აქტივებში. ანგარიშგების ძველ ფორმაში კი (რომელიც დამტკიცებული იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის საფუძველზე) „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“, ძველი ბუღალტრული ანგარიში 2200, აღრიცხული იყო გრძელვადიანი აქტივების სახით. შესაბამისად, 2020 წლის ანგარიშგებაში გრძელვადიანი აქტივებიდან მოკლევადიან აქტივებში მოხდა საწყისი ნაშთის გადატანა 11 776 638 ლარის ოდენობით. 2020 წელს განხორციელებული ბრუნვები და საბოლოო ნაშთი თავისთავად აღრიცხულია ანგარიშგებაში გათვალისწინებული ფორმით.
- მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება ძირითადად ხდება საწყობიდან გაწერისთავანავე, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები) საწყობიდან გასვლისას განისაზღვრება მასზე პასუხისმგებელი პირი და

უშუალოდ მომსახურების გაწევის/საქონლის რეალიზაციის შემდეგ ხდება მისი ხარჯად აღიარება (შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით).

- აღნიშნული შენიშვნის მეორე ცხრილში, რომელიც ასახავს მატერიალური მარაგების ბრუნვას, „სხვა მიღებები“ და „სხვა გასვლები“ მოიცავს:
 - ა) სხვადასხვა შემოსავლებს და სხვადასხვა ხარჯებს (მ.შ აქტივების გადაფასება);
 - ბ) რეკლასიფიცირების შედეგად აქტივების მიღება/გასვლას და სხვ.

შენიშვნა N4:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები.

შენიშვნა N5:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია გრძელვადიანი ფინანსური აქტივები.
- მე-5 შენიშვნის პირველ ცხრილში, „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“ (სტრიქონი „030“), აღრიცხულია სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს დაფუძნებული შპს პერსპექტივისთვის 2012 წლიდან სხვადასხვა პერიოდში კაპიტალის სახით გადარიცხული თანხა 825 000 ლარის ოდენობით (ძველი საბუღალტრო ანგარიში 1330 - აქციები და სხვა კაპიტალი). 2019 წლის ანგარიშგებაში აღნიშნული თანხა აღირიცხებოდა 1330 საბალანსო ანგარიშზე. ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის თანახმად, 1330 ანგარიშს შეესაბამება 1-12-9000 – „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) ინვესტიციები“, რომელიც გულისხმობს მიმდინარე საანგარიშო წლის პერიოდში შპს პერსპექტივიდან მისაღებ თანხას. გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მიმდინარე წელს არ აქვს შპს პერსპექტივის მიმართ მოთხოვნა, აღირიცხა, როგორც გრძელვადიანი ფინანსური აქტივი - საბალანსო ანგარიშზე 1-21-2000 – „ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში“.

შენიშვნა N6:

- ცვეთადი და ამორტიზირებადი აქტივების და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთის 01.01.2020წ. პერიოდისათვის საწყისი ნაშთების ასახვასთან დაკავშირებით (აღნიშნული ეხება ასევე შენიშვნა N8-ს):
იუსტიციის სამინისტროს საბალანსე ერთეულებს საწყის ნაშთებად რიგ შემთხვევაში აღიარებული აქვს პირვანდელი (თავდაპირველი) ღირებულება, ხარჯებში ჩამოწერილი ცვეთის თანხის აღდგენის გზით და აკუმულირებული (დაგროვილი) ცვეთით და რიგ შემთხვევებში კი აღიარებული აქვთ ცვეთადი/ამორტიზირებადი აქტივის საბალანსო ღირებულება და ასეთ შემთხვევაში, ცვეთის დაგროვება დაწყებულია 2020 წლიდან.
- აღნიშნული შენიშვნის მეორე ცხრილში, რომელიც ასახავს ძირითადი აქტივების ბრუნვას, „სხვა მიღებები“ და „სხვა გასვლები“ მოიცავს:
 - ა) სხვადასხვა შემოსავლებს და სხვადასხვა ხარჯებს (მ.შ აქტივების გადაფასება);
 - ბ) მიღებისას გადმოყოლილი დაგროვილ და გასვლას ანულირებულ ცვეთას;
 - გ) რეკლასიფიცირების შედეგად აქტივების მიღება/გასვლას და სხვ.
- „არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებში“ საწყისი ნაშთი 01.01.2020წ. მდგომარეობით შემცირებულია 46 849 ლარით. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია სსიპ ეროვნული არქივის საწყისი ნაშთის ცვლილებით. კერძოდ, აღნიშნული შენობა გასულ პერიოდში გადაცემული იყო სხვა ორგანიზაციებზე, თუმცა გამორჩენილი იყო მათი გადაცემის ასახვა საბუღალტრო ჩანაწერებში და შესაბამისად გაზრდილი იყო საბოლოო საბალანსო ღირებულება 46 849 ლარით. 2020 წლის საწყისი ნაშთის ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად, არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). ამავდროულად, იმავე თანხით შემცირდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.
- „მიწის“ საწყისი ნაშთი 01.01.2020წ. მდგომარეობით გაზრდილია 217 000 ლარით. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია სსიპ ეროვნული არქივის საწყისი ნაშთის ცვლილებით. კერძოდ, 2019 წელს გადმოცემული იყო მიწა რომელიც არ იყო ასახული საბუღალტრო მონაცემებში და შესაბამისად მიწის საბოლოო ღირებულება შემცირებული იყო 217 000 ლარით. 2020 წლის საწყისი ნაშთის ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად, არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). ამავდროულად, იმავე თანხით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.

- „სატრანსპორტო მოწყობილობების“ საწყისი ნაშთი 01.01.2020წ. მდგომარეობით გაზრდილია 1 683 ლარით. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია სსიპ ეროვნული არქივის საწყისი ნაშთის ცვლილებით. კერძოდ, 2019 წელს მოხდა ავტომობილის გადაცემა სხვა ორგანიზაციაზე, თუმცა გადაცემის დროს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა და ბუღალტრულგატარებაში მექანიკურად 1 683 ლარით მეტი თანხა იქნა მითითებული. მიმდინარე წელს მოხდა სხვაობის თანხის - 1 683 ლარის აღდგენა. 2020 წლის საწყისი ნაშთის ცვლილება განხორციელდა რეტროსპექტულად, არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). ამავდროულად, იმავე თანხით გაიზარდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.

შენიშვნა N8:

- მე-8 შენიშვნაში აღრიცხულია არამატერიალური აქტივები. 01.01.2020წ. პერიოდისათვის საწყისი ნაშთების ასახვასთან დაკავშირებით გთხოვთ, იხილოთ N6 შენიშვნის კომენტარი.
- აღნიშნული შენიშვნის მეორე ცხრილში, რომელიც ასახავს არამატერიალური აქტივების ბრუნვას, „სხვა მიღებები“ და „სხვა გასვლები“ მოიცავს:
 - ა) სხვადასხვა შემოსავლებს და სხვადასხვა ხარჯებს (მ.შ აქტივების გადაფასება);
 - ბ) მიღებისას გადმოყოლილი დაგროვილ და გასვლას ანულირებულ ამორტიზაციას;
- გ) რეკლასიფიცირების შედეგად აქტივების მიღება/გასვლას და სხვ.

შენიშვნა N11:

- მე-11 შენიშვნა მოიცავს სხვა არაფინანსური გრძელვადიანი აქტივების შესახებ ინფორმაციას. აერთიანებს ფასეულობების, დაუმთავრებელი მშენებლობის და საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესების შესახებ მონაცემებს.

შენიშვნა N13:

- აღნიშნული შენიშვნის N13ა ცხრილში „საგადასახადო კრედიტორული დავალიანების“ (სტრიქონში „030“) საწყისი ნაშთი 01.01.2020წ. მდგომარეობით გაზრდილია 223 874 ლარით. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს

საწყისი ნაშთის ცვლილებით. კერძოდ, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო დარიცხული 2019 წლის ქონების გადასახადი, რომელიც შეადგენდა 223 874 ლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა შეცდომის რეტროსპექტულად გასწორება, არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). რამაც გავლენა იქონია 2020 წლის კრედიტორულ დავალიანებაზე და ასევე, გავლენა მოახდინა წმინდა აქტივები/კაპიტალზე. კერძოდ: გაიზარდა 2020 წლის კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი 223 874 ლარით და ამავდროულად, იმავე თანხით შემცირდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშის საწყისი ნაშთი.

- აღნიშნული შენიშვნის N13-ა ცხრილში “სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების“ (სტრიქონში „110“) საწყისი ნაშთი 01.01.2020წ. მდგომარეობით გაზრდილია 68 255 ლარით. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის საწყისი ნაშთის ცვლილებით. კერძოდ, 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ იყო დარიცხული 2019 წლის იურიდიული მომსახურების ხარჯები, რომელიც შეადგენდა 68 255 ლარს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დოკუმენტაცია ბუღალტერიას მიეწოდა 2019 წლის ანგარიშგების ჩაბარების შემდგომ და შესაბამისად, აღნიშნული ხარჯი ვერ იქნა გათვალისწინებული. მოხდა შეცდომის რეტროსპექტულად გასწორება, არსებითი შეცდომების კორექტირებებით (წინა პერიოდების შეცდომების გასწორებით). რამაც გავლენა იქონია 2020 წლის კრედიტორულ დავალიანებაზე და ასევე, გავლენა მოახდინა წმინდა აქტივები/კაპიტალზე. კერძოდ, გაიზარდა 2020 წლის სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების საწყისი ნაშთი 68 255 ლარით და ამავდროულად, იმავე თანხით შემცირდა გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტის ანგარიშზე საწყისი ნაშთი.

შენიშვნა N14:

- აღნიშნულ შენიშვნაში შეტანილია არაგაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია.

შენიშვნა N15:

- აღნიშნულ შენიშვნაში ასახულია გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები.
- შემოსულობების ნაწილში სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს 2020 წლის საწყისი ნაშთში 1 905 570 ლარით შემცირებულად არის ნაჩვენები სახაზინო სამსახურიდან 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენის მიზნით მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით (აღნიშნული თანხით მეტია ნაჩვენები ბანკის ნაშთად). შესაბამისად იგივე თანით ნაკლები ჩანს 2020 წელს მიღებულ საკასო შემოსავლად. გაწეული მომსახურებიდან მიღებული საკასო შემოსავალი ნაცვლად 1 235 698 ლარისა ნაჩვენებია ზარალი 669 872 ლარის ოდენობით.

შენიშვნა N16:

- აღნიშნული შენიშვნა მოიცავს სხ.სხ შემოსავლებს: ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მოგებას, ფლობის შედეგად გაწეულ სხვა მოგებას (მ.შ ექსპერტიზის შეფასებას, ჩამოწერილ კრედიტორულ დავალიანებას და სხვ.)

შენიშვნა N17:

- მე-17 შენიშვნაში თავმოყრილია გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია.
- აღნიშნული შენიშვნის N17ბ ცრილში ასახული კაპიტალური გრანტის ჯამური თანხა 2000 ლარით მეტია შენიშვნა N6 და შენიშვნა N8-ის კაპიტალური გრანტის ხარჯის ჯამურ თანხაზე, რაც გამოწვეული იმით, რომ 2020 წელს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციაზე განხორციელდა დაუმთავრებელი მშენებლობის უსასყიდლო გადაცემა (კაპიტალური გრანტი სასაქონლო ფორმით - 2000 ლარის ოდენობით).

შენიშვნა N18:

- აღნიშნული შენიშვნა მოიცავს სხ.სხ ხარჯებს: ვალუტის კურსის ცვლილებით წარმოქმნილ ზარალს, ფლობის შედეგად გაწეულ სხვა ზარალს (მ.შ ექსპერტიზის შეფასებას, ჩამოწერილ დებიტორულ დავალიანებას და სხვ.)

ანგარიშგების ფორმებში ასახული ინფორმაცია:

ფორმა N1:

„ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში“ ასახულია აქტივების, ვალდებულებების და კაპიტალის საწყისი და საბოლოო ნაშთები. ასევე, მოცემულია ინფორმაცია საცნობარო ანგარიშების შესახებ.

ფორმა N2:

„ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება“ თავს უყრის ყველა შემოსავალს, ყველა ხარჯს და მათ საფუძველზე ხდება პერიოდის ნამეტის/დეფიციტის გამოანგარიშება.

- შემოსავლების ნაწილში - სხვადასხვა შემოსავლებში (სტრიქონი „010“) შეიტანება შემოსავლები N16 შენიშნიდან.
- ხარჯების ნაწილში - გრანტები, ტრანსფერები (სხვა ხარჯები) და სუბსიდიებში (სტრიქონი „014“) შეიტანება შესაბამისი ხარჯები N17 შენიშნიდან.
- ხარჯების ნაწილში - სხვადასხვა ხარჯებში (სტრიქონი „020“) შეიტანება ხარჯები N18 შენიშნიდან, გარდა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურებისა.
-

ფორმა N4:

2020 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში „წმინდა აქტივებისა და კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებაში“ წინა პერიოდების შეცდომების რეტროსპექტულად, არსებითი შეცდომების კორექტირებებით გამოწვეული ცვლილება ჯამურად შეადგენს 103 929 ლარს. გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი გადაანგარიშების შედეგად, ჯამურად შემცირებულია 16 366 + 217 000 – 46 849 + 1 683 – 223 874 – 68 255 = - 103 929 ლარით.

ფორმა N5:

„ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში“ თავს იყრის დამტკიცებული და დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია. მათ საფუძველზე გამოითვლება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება პროცენტულ მაჩვენებელში (შესრულება (%) = ბიუჯეტის შესრულება / დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)*100).

კონსოლიდაციის პროცედურები:


სსბასს 35 – „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“ განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციის პროცედურებს, რომლის თანახმად 2020 წლის ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ამოთიშულია (ელიმინირებულია) შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, წმინდა აქტივები/კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი სახსრების ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.

შიდაჯგუფური მონაცემების დამუშავების პროცესში გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთმანეთის ტოლი არ არის მოკორესპონდენტო ოპერაციის ჯამური თანხები. მაგალითად, მოთხოვნები განსხვავდება ვალდებულებებისგან, რისი გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება იყოს შეძენილი მომსახურების/საქონლის ფარგლებში დღგ-ს ჩათვლა, 18%-გან განსხვავებული პროცენტით (თვის პროპორციით გამოყვანილი პროცენტით, რომელიც ყოველ თვე განსხვავებულია, რადგან გამოიანგარიშება ერთეულის შესაბამისი თვის ბრუნვის მიხედვით). გამოვლენილი განსხვავებები ძირითადად არაარსებითია. ასეთ შემთხვევებში, კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან ამოთიშვას ექვემდებარება მათ შორის უმცირესი მონაცემი. სხვა შემთხვევაში დაირღვევა საბალანსო ტოლობა „ა“ = „ვ“ + „კ“ („ა“ - აქტივი, „ვ“ - ვალდებულება, „კ“ - კაპიტალი).

საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს

უფროსი (მეორადი სტრუქტურული

ერთეულის ხელმძღვანელი)



ვალადა კოროშინაძე

თარიღი: 05.05.2021

კონსოლიდირებული
ერთეულები

2020 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში,
კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:

- სამინისტროს აპარატი;
- სპეციალური პენიტენციური სამსახური;
- სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივი;
- სსიპ – იუსტიციის სასწავლო ცენტრი;
- სსიპ – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი;
- სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო
- სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის სააგენტო;
- სსიპ – იუსტიციის სახლი;
- სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;
- სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- სსიპ – საკანონმდებლო მაცნე;
- სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო.

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია:

<https://sao.ge/>
<https://budgetmonitor.ge/ka>
<http://blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი:

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა:

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, ნმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE